რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შე

შაბათი, 27 მაისი 1917 წ. 111

ერთობა

ფასი 7 კაპ.

თანამედროვე აზრის [illegible]

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ორ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ—მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგ
რესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ
ящ. 199. Власію Малакіевичу Во
სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რე
ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შე
ლება 10—12 ს.-დე. რედაქციისა და კანტ
რის ა ს: თფილისი, გოლოვინის პრ.
12. (Т ме Годовинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 56 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. №

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქ საკუთარი სტა

ამა 1917 წ. მაისის 27-ს, დილით შაბათს დილის 12 საათზე, ქ. ბათუმში, ადგილობრივ სასაფლაოზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებული

ტარიელ გიტოს ძის თავართქილაძის,

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე კატო, შვილები: სევერიანე მეუღლით, აკაკი, ოტია, გალაქტიონი, გ გი, ნიკო, მინა მეუღლით და ნიტუშა, ძმები: ქიშვარდი, და ლადიკო მეუღლეებით; დები: ფოტინე და პუპი თავართქილაძეები. 2—2

სამტრედიის რ. ს.-დ. მ. პარტიის კომიტეტი

იწვევს მთელი რაიონის პარტიის წევრების **ყრილობას** კვირას, 28 მაისს, რკ. გზის კლუბში დილის 11 საათზე.

განსახილველია 1) კავკასიის პარტიულ სიეზდისთვის წამოყენებული კითხვები; 2) დელეგატების არჩევნები.

კომიტეტი სთხოვს საზოგადოების (სამტრედია, კულაში, ჭაგანი, ეწერი, ჯიხაიში, გაკოჩინებული, ტოზანიერი და მუხაყრუა) კოლექტივებს, მოახდინონ ძირითადი ორგანიზაციების კრებები და გააცნონ მოხსენებული კითხვები, რათა რაიონულ საერთო ყრილობისთვის დამზადებულნი იყვნენ წევრები.

3—2 **სამტრედიის ს.-დ. რაიონის კომიტეტი.**

კვირას, 28 მაისს 1917 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების სასარგებლოდ სახალხო ბაღში გაიმართება დიდი სახალხო

სეირნობა ლატარია-ალეგრით.

წმინდა შემოსავლის 10% გადაიდება ომისაგან დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ. გასართობები ბავშვებისთვის და დიდებისთვის: პტი-შვო, ბედნიერების კლიტე, დედოფალი, ყვავილები, ფოსტა, რგოლების სროლა, ბედნიერების ბოჭკა, ტუმბო, საბავშვო გასართობები, კიოსკები და სხვა.

სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა და საზანდარი. დასაწყისი დღის 12 ს. შესასვლელი ფასი დიდებისათვის 60 კ. მოწაფეთა და პატარებისათვის 35 კ.

ბათუმის პირველი რაიონის დროებითი კომიტეტი რ. ს.-დ. პარტიისა

ამით აცხადებს ამ რაიონში მოსამსახურე მსურველ ამხანაგების საყურადღებოთ, რომელნიც ჯერ კიდევ არ ჩაწერილან პარტიაში წევრებათ, რომ მათ შეუძლიათ მიმართონ ამხანაგებს და ჩაეწერონ შემდეგ ადგილას: 1) რკინის გზის დეპოში—ამხ. სიმაევთან, 2) „რემინტ“ში და „დვიჟენია“-ში—ამხ. ს. სადრაძე და ყ. ჩხიკვაძესთან, 3) ნობელის ქარხანაში—ამხ. ლევაშკევიჩთან, 4) პიტოევის ქარხანაში—ამხ. ზვერევთან, 5) ნავთის ჩამომსხმელ სადგურებში—ამხ. ვ. მაჩაიძესთან, 6) გოროდოკში—ამხ. პ. გიორგაძესთან და 7) ბარცხანაში—ი. ი. წულაძესთან.

ბათუმის პირველი რაიონის დროებითი კომიტეტი.

ფოთის ორგანიზაცია რ. ს.-დ. მ. პ-სა

ამით აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ კვირას 28 მაისს, 12 საათზე ნავთსადგურში (პორტი) დანიშნულია ყველა ყოფილ და ახლად მიღებულ ს.-დ. პარტიის

წევრების კრება.

სთხოვს წევრებს გამოცხადდენ დანიშნულ ალაგზე დანიშნულ დროს. წევრები 11 ნახევ. გამოცხადდებიან რკინის გზის სადგურზე საიდანაც სპეციალურ მატარებლით გაემგზავრებიან პორტში. იმავე დღეს მიიღება ახალი პარტიის წევრები.

მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომა

მოხდება შაბათს, 27 მაისს საღამოს სრულ 6 საათზე სახალხო სახლში.

დღის წესრიგი: 1. სახალხო მომრიგებელ სასამართლოს პროექტის განხილვა.
2. მინისტრ კონოვალოვის სამინისტროდან გასვლა.
3. აღმასრულებელ კომიტეტის წევრების გადარჩევა.

კრებაზე შესვლისთვის საჭირო საწევრო ბილეთები, ვისაც არ აქვლია უნდა მიმართოს საბჭოს სეკრეტარიატში (სასახლეში). **აღმასრულებელი კომიტეტის ბიურო.**

ჭიათურის ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციის კომიტეტი.

ამით აცნობებს პარტიის წევრთ, რომ კვირას, 28 მაისს ადგილობრივ თეატრში დილის 10 საათზე დანიშნულია პარტიის წევრთა **საზოგადო კრება.**

კრების მიზანია: საოლქო ყრილობის დღიური წესრიგის გარჩევა.

ამხანაგებს ვთხოვთ უსათუოთ დაესწრონ კრებას, ვინაიდგან გასარჩევია ბევრი სერიოზული და საყურადღებო კითხვები და ასარჩევია დელეგატები საოლქო ყრილობაზე გასაგზავნათ. ნუ დაიგვიანებთ!

იქვე მოხდება ახალი წევრების ჩაწერა. **ჭ. ს.-დ. კომიტეტი.**

საქალაქო არჩევნების გამო.

განცხადება.

თფილისის ქალაქის თვითმართველობა და საარჩევნო კომიტეტი ქ. თფილისისა, ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ აღწერა იმ პირთა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქალაქო არჩევნებში დაიწყება კვირას, 28 მაისს ამა წლისა და გაგრძელდება სამ დღეს. საყოველთაო არჩევნების განსახორციელებლათ, რათა უზრუნველყოფილ იქმნას ყველა მოქალაქისათვის არჩევნებში მონაწილეობა, საჭიროა, რომ მოქალაქეებმა ამ დღეს შეძლების გვარათ დარჩნენ სახლში თითონ ან და ოჯახის ისეთი წევრი, რომელსაც შეუძლია ოჯახის შემადგენლობის შესახებ სწორი ცნობების მიცემა, ოჯახიდან გასულ წევრებმა სასურველია სახლში დასტოვონ წინასწარ დამზადებული ცნობები თავის შესახებ, აგრეთვე პასპორტი ან სხვა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მას უფლება აქვს ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

2—1 **თფ. თვითმართველობა და ქალ. საარჩ. კომიტეტი.**

შაქარი

თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი აუწყებს ქალაქ თფილისის მცხოვრებთ, რომ ხშირი ბოროტ-მოქმედება, რომელიც აღმოჩნდა შაქრის ბარათებით გაცემის დროს აიძულებს მას ივნისის პირველი შაქრის გაცემის დროს გულდასმით შეამოწმოს ოჯახის წევრთა რაოდენობა, რომლის საზღვრითაც შაქარს ღებულობენ, ამ მიზნით დამზადებულია განსაკუთრებული ბლანკები განცხადებისა, რომლების მიღება შეიძლება საუბნო კომიტეტების კანცელარიებში, საქალაქო და კოოპერატიულ დუქნებში.

შევსებული ბლანკი, რომელშიდაც შეტანილი უნდა იქნეს ყველა ის პირები რომლებიც ერთ ოჯახში ირიცხებიან, უნდა შეტანილ იქმნას იმავე პუნქტებში, ბინის წიგნებთან შესამოწმებლათ.

შემოწმებული ბლანკებით, რომელშიდაც შესაფერი წარწერა იქნება აღნუსხული, შეიძლება ივნისის ხვედრი შაქრის მიღება კოოპერატიულსა და ქალ. სასურსათო დუქნებიდან.

ბლანკების მიცემა და განცხადებების შემოწმება აღნიშნულ პუნქტებში დაიწყება ორშაბათს, 29 მაისიდან, შაქრის მიცემა კი 1-ლ ივნისიდან.

ახალი შაქრის ბარათები მიეცემათ აღნიშნულ პუნქტებში მხოლოდ შემოწმებულ ბლანკებისა და განცხადებების წარმოდგენის შემდეგ.

შაქრის ახალი ბარათების მიცემის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბინის წიგნებში ყალბი ცნობების შეტანისთვის, დამნაშავენი კანონიერათ დაისჯებიან.

თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

სახელმწიფო თეატრი.

ორშაბათს, 29 მაისს მსახიობი ქალი ელო ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე შალვა დადიანის პიესა

მღვიმეში

ფანტასტიური სანახაობა სამს ნაწილათ. პიესა დაწერილია 1905 წ. და შიგ გამოხატულია ფანტასტიურ სამეფოს ძველი მთავრობის დამხობა.

როლებს შეასრულებენ: ამირეჯიბი ცაცა, დავითაშვილი ნ., ქალარჯიშვილი მ., ბბ. ბარველი, გამყრელიძე, მელაშვილი, კორიშელი, მატარაძე, მეგალობლიშვილი, შალიკაშვილი. **სანამშრომლოში** ურევიან—ანდრონიკაშვილი თამარ, კალატოზიშვილი მაყვალა, მაისურაძე ნინო, ციციშვილი ტასო. აგრეთვე წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქნარზე დამკვრელი ქალი ქ. როსტენი.

პიესა დაიდგმება თვით ავტორის რეჟისორობით. სამხატვრო მორთულობას ხელმძღვანელობს გიორგი ერისთავი. დასაწყისი საღამოს ცხრის ნახევარ საათზე. ბილეთები ისყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში.

კვირას 28 მაისს საღამოს ხუთ საათზე თფილისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. თფილისის ყველა რაიონების კოლექტივის წევრების შეერთებულ კრებას იწვევს ქალთა პირველ გიმნაზიის შენობაში (ლორის მელიქოვის ქ.). ამხანაგებს სთხოვენ უსათუოთ კრებას დაესწრან.

თფილისის ორგანიზაციის მესამე რაიონის კოლექტივის ბიურო რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია ავლაბრის კლუბში (კახეთის ქუჩა, № 1). **იქვე მიიღებიან წევრები დილის 10—12 საათამდე, საღამოს 4—7 საათ.**

თფილისის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. მეოთხე რაიონის კოლექტივის ბიურო

მოთავსებულია ზუბალაშვილის სახალხო სახლში. დიაღ 10—1 საათამდე და 5—7-ამდე. შესასვლელი ეზოდან, მეორე სართულზე. იქვე შეიძლება პარტიის წევრების ჩაწერა, შოვნა პარტიულ ლიტერატურისა და აგრეთვე მიიღება ხელის მოწერა ყველა ადგილობრივ პარტიულ გაზეთებზე ბიუროს საშუალებით.

ახალი დაარსებული მცხეთის რაიონის, დუშეთის მაზრის სოც.-დ. ჯგუფი მოუწოდებს ყველა ამხანაგს ჩაეწერონ პარტიაში. მალე მოხდება დამფუძნებელი კრება, რომელიც აირჩევს დუშეთის მაზრის ს.-დ. კომიტეტს. მცხეთის რაიონის დუშეთის მაზრის სოც.-დემ. პარტიის ჯგუფი. მსურველთ შეუძლიათ წევრათ ჩაეწერის შემდეგ პირებთან: დუშეთში მიშა კლიმიაშვილთან, მცხეთაში დ. ქიტუაშვილთან, გ დეკანოზიშვილთან, ჯარის კაც ხ. იმერლიშვილთან, ალ. კაპანაძესთან, შ. კობიაშვილთან, პ. გოგისვანიძესთან და დ. გურგენიძესთან (კარსანში).

ვთხოვთ ყველას, ვინც კი იცის მისამართი **ტეხნიკის იაკობ პეტრეს ძე ავალიშვილისა** (მცხოვრები ქ. ქუთაისში და რომელიც კავკასიის ფრონტზე არის სამსახურში), გვაცნობოს ამ მისამართით: სად. მიხაილოვი ანტონ ტერზოპულოს, რაზედაც წინდაწინვე ულრმეს მადლობას შევსწირავთ თხოვნის შემსრულებელს.

მუშების მონდობილობით ანტონ ტერზოპუ-

ზავი და იმპერიალიზმი.

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წინადადება უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის შესახებ თანდათან პოულობს გამოძახილს დანარჩენ მეომარ ქვეყნებშიც.

გერმანიის და საზოგადოთ ცენტრალურ სახელმწიფოების სოციალ-დემოკრატიული პარტიები ამჟამათ უკვე იზიარებენ რუსეთის რევოლიუციონური კლასების წინადადებას და ამისათვის ისინი შესაფერათაც ემზადებიან. მათ სტოკჰოლმის სოციალისტების კონფერენციაზე დასასწრებლათ თავიანთი წარმომადგენლები გაგზავნეს და ზავის მოახლოებისათვის იღწვიან. მათ გვერდში ამოუდგა საფრანგეთის სოციალისტები და ინგლისელთა ერთი ნაწილი და უკანასკნელებიც სტოკჰოლმის კონფერენციისაკენ მიეშურებიან. ერთი სიტყვით საერთაშორისო პროლეტარიატი თავის ისტორიულ მისიას კვლავ უბრუნდება, ინტერნაციონალური პოლიტიკის წარმოებას იწყებს და მით მეომარ სახელმწიფოების იმპერიალისტურ პოლიტიკას სასტიკ ბრძოლას უცხადებს. სამაგიეროთ მეომარ სახელმწიფოთა ბურჟუაზია ისევ ძველი გზით მიდის, დ პყრობით პოლიტიკას აწარმოებს, სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყებას სასტიკ წინააღმდეგობას უწევს. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას მოკავშირე სახელმწიფოთა შესახებ. ამის დაფარვა და უარყოფა შეუძლებელია. რუსეთის რევოლიუციონური მთავრობის მოწოდებას ზავის შესახებ ისინი გარკვეულ პასუხს არ აძლევენ და პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმას სრულიადაც არ აპირებენ. პირიქით სხვადასხვა ზომების მეოხებით თვით სოციალისტების ზავისადმი მისწრაფებას წინ ეღობებიან და ფარული საშუალებით სტოკჰოლმის კონფერენციაზე მონაწილეობის საშუალებას უსპობენ, მაგ. სოციალისტებს პასპორტ არ აძლევენ, რათა უკანასკნელმა ვერ სტოკჰოლმის კონფერენციაზე დღეს დეპეშები ახალ ცნობას გვაწ გლისის ბურჟუაზიული პრესა და

ლი მთავრობა მოითხოვს, რომ ამ ტებს, რომლებსაც პასპორტები მიე ჰოლმში და პეტროგრადში წას უკან გამოერთვათო. გარდა ამისა ბურჟუაზია ერთობ წინააღმდეგია დებულ ინგლისის მუშათა და ჯა დეპუტატების საბჭოს შედგენისა, ინგლისის მუშებმა ლიდის კონ მოითხოვს. ეჭვს გარეშეა ი ლისტები ამ შემთხვევაში მდეგი არიან უანექს ზავისა. ერთი თვითგამო იზიარებენ.

მართალია რუსეთის რევოლიუციონ რობის ზავის წინადადებაზე არც ცენტ სახელმწიფოების ხელმძღვანელთ გაუციათ გარკვეული პასუხი, მაგრამ უკანასკნელნი საერთო ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის მეოხებით იძულებულნი არიან იმპერიალისტურ პოლიტიკაზე ასე თუ ისე ხელი აიღონ და პანგერმანიზმს გამოეთხოვონ. ამას აშკარათ ამტკიცებს ავსტრიის იმპერატორ კარლოს განცხადება, რომელშიაც იგი ამბობს: უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს სიამოვნებით მივიღებთ, უკეთუ ამასვე მიიღებენ რუსეთის მოკავშირე სახელმწიფოები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ იძულებული გავხდებით ომის გაგრძელების მომხრეთ გამოვიდეთ.

რასაკვირველია, გერმანია-ავსტრიის იმპერიალისტების გულწრფელობა ჩვენ არა წამს, მაგრამ გვიწამს საერთო ეკონომ და პოლიტიკური მდგომარეობა, რომელ ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტ ბის მადას აღუნებს და მით უანექსიო უკონტრიბუციო ზავისაკენ მიეზიდება. სა გიეროთ შეთანხმების ზოგიერთი სახ ფოები, განსაკუთრებით ინგლისის ლისტები ისტორიულათ მიჩვეული ა ფლიო ბაზარზე ბატონობას და დ მისწრაფებაზე ხელს არ იღებენ და ზ ლაპარაკებას გაურბიან. ინგლისის ბურ ვერ შეურიგდება ცენტრალურ სახელმწ მეტოქეობას და იგი მათ სრულ განადგუ მოითხოვს. ამისათვის მას ჯერჯერობით დიდ ეკონომიური და ფიზიკური ძალა შესწევ ამასთან მას ძლიერი მოკავშირეებიც ყავს და ასეთ პირობების მეოხებით იგი შეთანხმების სახელმწიფოებს აიძულებს რუსეთის წინადადება უარყონ. ეს კი მთელი მეომარ სახელმწიფოების პროლეტარიატისთვის და განსაკუთრებით კი რუსეთის თავისუფლებისათვ მეტათ სახიფათოა. ინგლისის ბურჟუაზი როგორც მარქსი იტყოდა, რუსეთისათვის ხ რათ კისერი მოუტეხია და ახლაც იგი რ ლიუციას დიდ საფრთხეს უმზადებს. ამ რუსეთის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭ მოვალე არიან შეთანხმების სახელმწიფოებ მთავრობებს კატეგორიულათ მოსთხოვონ ზავის წინადადებაზე პასუხი, ხოლო ამ ქვეყნების სოციალისტები ვალდებული არიან გადაჭრით აწხდრდენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ომის დაბოლოვება მოითხოვონ.

საქალაქო არჩევნებ მოლოდინში.

ან თფილისში მცხოვრებთ და ეს სამი დღე ბასტანი ს ტის მიერ დანიშნული პირებ ს ჩამოივლიან და ორივე სქესის ა ლთ აწერენ.

დემოკრატია ვალდებულია მიმდინარე აღწერას ფხიზლათ ადევნოს თვალყური. რევოლიუციის ქარტეხილში გამოცემულმა სა ჩვენი კანონმა ქალაქის ბედლობა ხალხს გადასცა. ქალაქის მესვეური ტია უნდა შეიქნეს. ამას კარგათ თფილისის თვითმართველობაში გაბატ ლი პლუტოკრატია, აგრეთვე მისი დამყოლნი და ისინი ყოველი ძ ცდებიან დემოკრატიულ ამრჩევ ართვან და ამ გზით თავისი ბა ნარჩუნონ. ამ მიზნის მისაღ ფერს მიერიდებიან ნი მოქალაქე შე

დამწუხრებული ცოლი გლიკერია მიხეილის ასული, შვილი ლეონიდე მოსეს ძე, ძმები მიხაკო, ყარამან და თედორე გიტოს ძე ნინიძეები, რძლები კატო, იულიტა და ალექსანდრა, ძმისწულები ნინა, თამარა, ბაბილა, სერგო, ვლადიმერ, ...ატოლი და შალვა ნინიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, ... მაისს სოფელ ასკანაში (გურია) გაბრიათის მაცხოვრის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი

მოსე გიტოს ძე ნინიძის

გარდაცვალებიდგან ორმოცი დღის აღსანიშნავათ.

...ლის. ვინც სიიდან გამოტოვებული დარჩება, ...ხმას დაკარგავს.

...ანონით საარჩევნო უფლებას მოკლებული ...უ კუთვნის, სხვათა შორის სპარსეთ...ის ქვეშევრდომები, რომელთა რიცხ...ოვებით 80 ათას სულს უდრის. ამით... უმრავლესობა ომიანობის ხანაში ...ფილთა რაზმს შეადგენს, რომელნიც ...ისტთა ხელშია და მათ ზრახვით უკან ... შეიტანეთ იანი სიაში, ეს მოსწა...ლობრივი საქმეების უკუთვნის ქვე...თა, კერძოთ გადმოხვეწილთა მიერ ... ეს დემოკრატიის დატუქსვა იქნება. ...ხმა ხანგრძლივი ბრძოლით მოიპოვა ... საარჩევნო უფლება. ამიტომაც ის ... ძალღონით უნდა შეეცადოს ალაგმოს ...გენტები, რომელნიც საარჩევნო სიე...ლებათ შედგენას განიზრახავენ, შიგ გად...ფილთა და „მკვდარ სულებს“ შეიტანენ, ...სეთი უმსგავსო საქციელით თავისი ბა...ბა გაიხანგრძლივონ და ქალაქის დემოკ... კლავი ნებისმიერათ დაიმორჩილონ.

...სასტიკი კანტროლი, რომ აღწე... ნილები და გადამწერელნი წე...მოენ კანონს და საარჩევნო ...დგენილი ინსტრუქციის ...ონ. ეს მუშათა და ჯარის...ტების საბჭომ უნდა იკისროს. ...ებში უნდა დანიშნულ იქმნენ გან...უთრებული მეთვალყურენი, რომელნიც დემოკრატიის ინტერესებს დაიცავენ და პლუტოკრატიის ოინების ჩაფუშვას შეეცდებიან.

პრესა.

როცა „სახალხო ფურცელში“ სოც.-დემოკრატების გინება მეტულობს—ეს იმის უტყუარი ნიშანია, რომ ფედერალისტები გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან.

ასეთ გასაჭირში ჩავარდენ ისინი აგრარული საკითხის გამო. ფედერალისტები მიემხრენ რუსეთის სოც. რევოლუციონერების მეშჩანურ უტოპიას, რომელსაც ჯერ რუსეთში არავითარი ნიადაგი არა აქვს და არც ...ებში რადა იქნება.

მიწის სოციალიზაცია, რომელსაც დღეს წვრილ ბურჟუაზიულმა პარტიებმა ასეთი საერთო ხასიათი მისცეს, პირველყოვლისა ნიშნავს მთელი მიწების ჩამორთმევას, როგორც წვრილ მესაკუთრეთა, ისე [illegible] ...ათ შემდეგ, როგორც ამბობენ, თანასწორ სასარგებლოთ განაწილებას. ამ ...ტის ხოხოები მას სოციალიზმს დაარქმევენ ...ათ და სამარკვლათ აცხადებენ. ნამდვილად არაფერი ამის მსგავსი არ არის და ...ცა ჩვენ ვთხოულობთ მათგან ამის დამ...უცდებიან, იძულებული არიან განაცხადონ: არა, ეს სოციალიზმი არ არის, გლეხთა შორის უთანასწორობა და ყველაფერი ისევ დარჩება.

ასეთ წინააღმდეგობაში არიან ჩავარდნილი სოციალიზაციის მოტრფიალენი.

„სახ. ფურცელს“ კიდევ ურიგო დღე ადგება ... ის ცხადობს სოციალიზაციას, მარა მკითხველებს უმალავს მის დამახასიათებელ ხაზებს, აი როგორ აცნობს ის მკითხველებს თავის პროგრამას:

„წვრილ მესაკუთრეებს მიწა არ ჩამოერთმევა, მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩამოერთმევა, თუ თვითონ გამოაცხადებს ამის სურვილს, ხოლო საშუალო მიწის პატრონს ჩამოერთმევა ზედმეტი მიწები“.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ ეს უარყოფაა მიწის სოციალიზაციის. „სახ. ფურცელმა“ ალბათ იგრძნო რუსეთის ესერებისაგან ნასესხები პროგრამის უვარგისობა, მაგრამ გამბედაობა არ ეყოფა ეს საჯაროთ აღიაროს. პირიქით, ის ცდილობს ჩვენ, სოციალ-დემოკრატებს ... თავს და სოციალიზმი დაგვაბრალოს ... ბდი ძველია, არა ახალია. 1905 წელ... ასე იქცეოდნენ ისინი, ... ესერები სოციალისტები იყ... ... მხოლოდ და მხოლოდ მუშათა ... სოციალისტურ მოღვაწეობას ეწ... ხოლო როცა რევოლუცია გაიმარჯვა ... არს. ჟორჟ ძემ პირდაპირ განაცხადა: ჩვენ ნაციონალი ... სოციალისტურმა ფრაზებმა, ჩვენი ქვეყანა ამისთვის ხელი არ ... და სხვ.

...თა იყვნენ და ასეთებათ დარჩნენ ჩვენი ... სოციალისტ-ნაციონალისტები. სხვა... ვერც იცნობა კიტა აბაშიძეები და კომპ. ...ალიზმი, თავად-აზნაურულ სალონებში ...ვებული სოციალიზმი.

...ერთი დიდი ტყუილი „სახ. ფურც... აცნობს რა მკითხველებს ფედერალის... ...ნფერენციის დადგენილებებს მიწის ... ის დასძენს:

...შენ დღეებმა მთელი ... რუსეთში მეცნი... ... 6

არა მხოლოდ ცალმხრივმა პარტიულმა კრებებმა, არამედ ასეთია გადაწყვეტილება ისეთი უპარტიო ყრილობისა, როგორიც იყო რუსეთის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოთა რწმუნებულების თათბირი“.

ამის დამწერს ან არ წაუკითხავს დადგენილება რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების კონფერენციის, ანდა განზრახ უშნოთ ამახინჯებს მას. კონფერენციის რეზოლიუციაში მიწის სოციალიზაცია უარყოფილია აშკარათ და ნათლათ. სწორეთ ამიტომაც იყო, რომ ადგილობრივმა ესერებმა კავკასიის ფრონტის სიეზდზე მის წინააღმდეგ გაილაშქრეს. „სახ. ფურცელი“ კი გამომდგარა და ქვეყანას არწმუნებს კონფერენციამ ჩვენი შეხედულება მიიღოო.

ნეტავი როდის გადაეჩვევა ეს ხალხი ფეხმოკლე ტყუილების წერას?

ფედერალისტები ქართველი გლეხების წინააღმდეგ.

როგორც მკითხველებმა იციან, ამ ჟამათ თფილისში კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების წარმომადგენელთა კრებაა.

კავკასიის მუშები ყველგან შეკავშირებული აღმოჩნდნენ, ამიტომ ისინი ყოველი კუთხიდან ცოტათ თუ ბევრათ თანასწორათ არიან წარმოდგენილი.

ეგევე არ ითქმის გლეხებზე. ჩვენდა სამწუხაროთ ბევრ ადგილებში გლეხები ჯერ კიდევ შეუკავშირებელია. შეკავშირებულია მხოლოდ ქუთაისისა და თფილისის გუბერნია, ნაწილი სოხუმის და ყარსის ოლქი. დანარჩენ ადგილებში ორგანიზაციები არ არის.

ამ უორგანიზაციობით ზოგიერთებმა განიზრახეს ესარგებლათ. კავკ. საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ჩინოვნიკებმა და რამდენიმე გარეშე პირებმა დაარსეს ბიურო ამიერ კავკასიის გლეხთა ყრილობის მოსაწვევათ. ახლა ამ ბიუროს ქართველი და სომხის ნაციონალისტებიც ამოუდგნენ. განსაკუთრებით თავი გამოიდვეს დაშნაკელებმა, რომ დაამტკიცონ თავისი მუშაობა გლეხებში, მამასახლისებს მისწერეს ბრძანება წარმოგზავნეთ თითო სოფლიდან თითო დელეგატი და ამ გზით ერევანში საგუბერნიო ყრილობა გამართეს. ამ ყრილობის პრეზიდიუმმა კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების სიეზდს საპროტესტო დეპეშა გამოუგზავნა: თქვენ ვინა ხართ, რომ შეყრილხართო. სიეზდზე ამ თავხედურმა დეპეშამ დიდი აღშფოთება გამოიწვია. ცხადი იყო დაშნაკელების ძველი ოინები და თან პროვოკაციული ხასიათი გამოსვლისა, რომლითაც ისინი ერთი ერის გლეხებს უპირდაპირებენ მეორისას.

მარა ეს არაფერი. დაშნაკელებს სხვაფერ არც შეუძლიათ მოქმედება.

აღსანიშნავი და საყურადღებო ის იყო, რომ ქართველი ფედერალისტებიც დაშნაკელების განცხადებას შეუერთდნენ და ამნაირათ ქართველი გლეხების წინააღმდეგ გაილაშქრეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დაშნაკელების ოინები ჩაიშლება. ისინი ვერ შეძლებენ სომხის გლეხკაცობა ქართველ გლეხკაცობას გადაკიდონ.

ვერც ფედერალისტთა გონება დაკარგული პოლიტიკანები შეაცდენენ ქართველ გლეხობას. მათ თამაშს ისეთივე პასუხი გაეცემა, როგორც დღემდე!

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 23—25 მაისი.)

კრონშტადელების განცხადება.

კრონშტადი. კრონშტადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თავის გაზეთში აცხადებს, რომ ეს საბჭო ერთადერთი მთავრობის ორგანოა და მოქმედებდა მხოლოდ მისი ხელმძღვანელობით. გააუქმა რა კომისიის თანამდებობა საბჭო აშკარათ ამბობს, რომ ეს ფაქტიურათ დიდი ხანია მოხდა. საბჭო იმეორებს, რომ მუშები, ჯარისკაცები და მეზღვაურნი, რომელთაც ის აირჩიეს, ამ ნაბიჯს წესიერათ იცნობენ და დაამტკიცებენ საბჭოს, როგორც მთავრობის ერთადერთ ადგილობრივ ორგანოს, რომელსაც ექვემდებარებიან ყველა მაღალ თანამდებობის პირნი. საბჭო აცხადებს, რომ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებში საბჭო პირდაპირ დამოკიდებულებას იქონიებს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან, ხოლო ამავე დროს შესაძლებელია დრ. მთავ. დამოკიდებულებაც, რაც აუცილებელია. ბურჟუაზიული პრესა ცილს სწამებს საბჭოს თითქოს მას ... ოდეს ჩამოშორდეს რუსეთს და ცალკე ... გამოცხადებული რესპუბლიკა დაარსოს. სა... ცნობს დროებითი მთავრობის ცენტრალურ ძალა-უფლებას, სანამ ახალი არ შედგება და სანამ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭო საჭიროთ არ დაინახავს იკისროს რუსეთის მთავრობა.

მომრიგებელი პირობები.

პეტროგრადი. შრომის სამინისტრომ შეიმუშავა ფაბრიკანტების და მუშების მომრიგებელი პირობები. ფაბრიკანტთა საზოგადოებამ ეს პირობები მიიღო. შრომის მინისტრის ამხანაგმა გოლდნევმა განაცხადა, რომ ამით კონფლიქტს ბოლო მოეღო და უკეთუ მოსამსახურეთა კავშირი ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება, სამინისტრო კონფლიქტის პასუხისგებას მათ დააკისრებს.

კერენსკის აზრი.

პეტროგრადი. დღობით მთავრობას კერენსკიმ განუცხადა, რომ ჯარის მდგომარეობა დღეს სასურველ ნიადაგზე დგება, დისციპლინა თან და თან ფეხს იკიდებს.

ინგლისელ მუშების ახალი ნაბიჯი.

ლონდონი. ინგლისური პრესა განცვიფრებაში მოიყვანა ლიდსში მომხდარმა კონფერენციამ. ამ კონფერენციაზე გამოცხადდა 10,000 დელეგატი. კითხვა აღძრა განეხილათ რეზოლიუცია, რომლითაც მოითხოვდნენ შეედგინათ რუსეთის მაგვარი მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. ამ სენსაციურ ამბის შესახებ გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ ამბობს: „მთავრობამ სასტიკი ყურადღება უნდა მიაქციოს რაც მოხდა ლიდსის კონფერენციაზე და დაუყონებლივ უკან წაართვას სტოკჰოლმში და პეტროგრადში წასასვლელი პასპორტები, მაკდონალდი და მისი მიმდევრები ბრიტანიის დემოკრატიის მხოლოდ ნაწილს შეადგენენ. გაფიცვის გამართვით იგინი შურს და მტრობას სთესავენ და ამით ზურგში ხანჯალს სცემენ ინგლისის ჯარს. მთავრობამ სასწრაფო ზომები უნდა მიიღოს. ჩვენ ველით, მთავრობა კატეგორიულათ განაცხადებს, რომ ინგლისში ადგილი არა აქვს ახლად გამოჩეკილ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს“. „ტაიმსი“ ამბობს: „კონფერენციის მონაწილეებმა ბევრი შეპირდნენ. მათ განაცხადეს, რომ კონფერენცია საფუძველს ჩაუყრის ინგლისში დემოკრატიის გაბატონებას ხანას ფაქტიურათ კი შედეგი მხოლოდ ის იყო, რომ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს დეპეშა გაუგზავნეს. კონფერენცია მხოლოდ უკიდურეს მემარცხენე მუშათა აზრის გამომხატველი იყო, მაგრამ ცდილობდენ ინგლისის მთელი მუშების სახელით ემოქმედათ.

გლეხთა ყრილობა.

პეტროგრადი. გლეხთა ყრილობაზე აგრარულ საკითხის შესახებ მოხსენება წაიკითხა მასლოვმა. მან სთქვა, რომ მიწების კერძოდ დატაცება კარგი არ არის და ამ ფრიად მძიმე საკითხის გადაწყვეტა დამფუძნებელ კრებას შეუძლია. [illegible] და თავის რეზოლიუცია გამოგზავნა.

ბრძანება ჯარში გაწვევის შესახებ.

პეტროგრადი. ბრძანება სამხედრო უწყებისადმი 22 მაისს 1917 წელს. № 294. გიბრძანებთ: 1) ის აფიცრები, რომელნიც გაწვეული არიან ჯარში ადმინისტრატიულ და სხვა თანამდებობის ადგილებზე, რომელიც ეხლა წითელი ჯვრის, ქალაქთა და ერობათა კავშირის და სხვა საზოგადო დაწესებულებებში მსახურებენ ეხლავე სამი კვირის განმავლობაში გაგზავნილ იქმნენ ფრონტის მორიგ გენერლის განკარგულებაში და შემდეგ ფრონტზე მომქმედ ჯარში. 2) ყველა ჯარისკაცი სანიტარები, და აგრეთვე ის პირნი, რომელთაც ვადა აქვთ მიცემული და 40 წლისაზე ნაკლები არიან და ეხლა წითელი ჯვრის, ქალაქთა და ერობათა კავშირში, ტატიანეს კომიტეტში და სხვა საზოგადო და კერძო სანიტარულ და საქველმოქმედო ორგანიზაციებში მსახურებენ, სამი კვირის განმავლობაში დღიდან ამ ბრძანების ადგილობრივ მიღებისა გაიგზავნონ სათადარიგო ჯარებში მოსამზადებლათ და შემდეგ ფრონტზე, თავისუფალი არიან: რაზმების უფროსები, ტრანსპორტის უფროსები, ბუღალტერები, ექიმები საქონლის ექიმები, ფერშლები, კბილის ტეხნიკები, ბაქტერიოლოგები, ლაბორანტები, პროვიზორები, ფარმაცევტები, ქიმიკოსები, რენტგენოტეხნიკები, შოფერები, მჭედლები და შორნიკები. შეიძლება ამათი თავიანთ ადგილზე დატოვება. 3) არავის ამ პირთ არავითარი შეღავათი არ მიეცემა. კატეგორიულათ ეკრძალება დაკმაყოფილებულ იქნას ასეთ პირების შუამდგომლობა თავიანთ ადგილზე დარჩენის შესახებ. 4) აფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც გასაგზავნები არიან და არ გამოცხადდებიან დროზე დეზერტირებათ ჩაითვლებიან. 5) იმ აფიცრების ადგილებზე, რომლებიც მომქმედ ჯარში გაიგზავნებიან, შესაძლებელია ასეთი პირებიც დაყენონ, რომელნიც 40 წელზე მეტის არიან, ფრონტის უფროსის ნებართვით. 6) ამ ბრძანების ადგილობრივ შესრულების შესახებ მე მაცნობეთ. ხელს აწერს სამხედრო და საზღვაო მინისტრი ა. კერენსკი.

გალიციის ბოროტ-მოქმედება.

პეტროგრადი. ცნობილმა მწერალმა ფ. ან—სკიმ (რეპორტი) იუსტიციის მინისტრ პერევერზევს განუცხადა, რომ საჭიროა გალიციაში გაიგზავნოს სპეციალური დელეგაცია, რომ გამოიკვლიოს ძველი მთავრობის მიერ გალიციაში ჩადენილი ბოროტ მოქმედება. პერევერზევმა აღუთქვა, რომ დელეგაციას, ჩქარა გაგზავნის.

კერენსკი ფრონტზე.

რიგა. კერენსკი ფრონტზე მივიდა და [illegible] ხაზის თხრილები. მან სიტყვით მიმართა ჯარისკაცებს და აუხსნა დღევანდელი მდგომარეობა. ჯარისკაცებმა ოვაცია გაუმართეს.

კრონშტადის ინციდენტის ლიკვიდაცია.

პეტროგრადი. 24 მაისს დროებითი მთავრობის კრებაზე გამოირკვა, რომ კრონშტადის ინციდენტს ბოლო მოეღო. მინისტრებმა წერეთელმა და სკობელევმა განაცხადეს, რომ კრონშტადში მათ მშვიდობიანათ შეხვდნენ, კრონშტადში მისვლისას მინისტრებმა მ. დ. ჯ. კ. დეპ. აღმასრულებელ კომიტეტს კატეგორიული პასუხი მოსთხოვეს ემორჩილებიან თუ არა დროებით მთავრობას ან შემდეგში რას აპირობენ. მოლაპარაკების შემდეგ კრონშტადის საბჭომ რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც სრული ნდობა გამოუცხადა დროებით მთავრობას. ხოლო ამავე დროს შესაძლებელია რევოლიუციონურმა დემოკრატიამ თვითონ შექმნას ცენტრალურ მთავრობის ახალი ორგანიზაცია და გადასცეს ის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს. მაგრამ რადგან ჯერ ეს არ განხორციელებულა დრ. მთავრობის განკარგულება კრონშტადზეც ვრცელდება. დატყვევებულ აფიცრების შესახებ კრონშტადის საბჭომ განაცხადა, რომ ვინც იმათში პასუხისგებაშია მიცემული პეტროგრადში გაიგზავნებიან.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 25 მაისი. დასავლეთის ასპარეზზე და აგრეთვე კავკასიისა და რუმინიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

ჰაეროპლანების მოქმედება. ჩვენმა მფრინავებმა მტრის ბანაკში ყუმბარები ჩაყარეს. ტლუმანის მახლობლად მტრის მფრინავებმა ჩვენი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს; მფრინავები სტუპოვი, მოროზოვი და ბორკლა დაიღუპნენ.

პარიზი. 24 მაისი. მთელი ღამის განმავლობაში ბრძოლის ველზე სიწყნარე ჩამოვარდა. შმენ-დე-დამის და ლონსის დასავლეთით, აგრეთვე ვეკტელიონას მიდამოებში საარტილერიო სროლამ სასტიკი ხასიათი მიიღო. იურტემიზა-პერმინის რაიონში გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ და პოზიციები შევინარჩუნეთ. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა.

ლონდონი. 16 მაისი. ინგლისის საადმირალო უწყების ცნობით ხმელთა შუა ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩვენს საჰოსპიტალო გემ „დოვოკასტლს“ ნაღმი ესროლა და ჩაძირა. ავათმყოფები და ექიმები გადავარჩინეთ.

— ჩრდილოეთ ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავმა ინგლისის სავაჭრო გემი „ხოლორი“ ჩაძირა. გემი ზარბაზნებით იყო შეიარაღებული.

დეპეშა.

(საკ. კორ.)

ქუთაისი. თავზარი დაგვცა მიშას მარცხმა. მიიღეთ ყოველგვარი ზომა, გადაარჩინოთ თავდადებული მებრძოლი და მომხიბლავი ამხანაგი. ყოველ დღე ბეჭდეთ ბიულეტენები.

„ს.-დემოკრატის“ რედაქცია.

ქუთაისი. დიდათ დაგვამწუხრა მიშას მარცხმა. გადაეცით ჩვენი თანაგრძნობა, ვუსურვებთ მალე განკურნებას.

კილაძე, ნოზაძე, გრიგოლია, სოკოლოვსკი, ფირცხალაშვილი, აბულაძე, პოტარიძე,

ახალი ამბები

ამხ. რაჟდენ (მიშა) არსენიძე თავს კარგათ გრძნობს. მაჯა სწორი აქვს. სიცხე კლებულობს. მარცხის შემდეგ ამხანაგს ფილტვების ანთება აღმოაჩნდა. ექიმების სიტყვით ანთება ნორმალურად მიმდინარეობს.

◆ **გიუისმანის წერილი.** ქ. ჩხეიძემ 24 მაისს მიიღო წერილი გიუისმანიდან, რომელიც მდივანია საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროსი. წერილში ნათქვამია, რომ ვიქტორ ადლერი ავსტრიის სოციალისტურ პარტიის სახელით სთხოვს გადასცეს ძმური სალამი ავსტრიის მუშებისა, იმათ ვინც რუსეთის რევოლიუციისათვის იბრძოდა და იტანჯებოდა. წერილის ავტორი სწუხს, რომ ცენზურამ საშვალება არ მისცა მას გამოეგზავნა რეზოლიუციის ტექსტი.

◆ **ამხ. ასოთამწყობთა საყურადღებოთ.** საჭიროა ქართულ ს მცოდნე ასოთამწყობნი წიგნაკების ასაწყობათ. ასოთამწყობთა არყოლის გამო ფერხდება პარტიული ბროშურების გამოცემა. საოლქო და თფილ. კომიტეტის საგამომცემლო სექცია სთხოვს ამხანაგ ასოთ ამწყობთ დაეხმარონ მას ამ საქმეში. მოლაპარაკება ამის შესახებ შეიძლება ბიუროს ბინაზე, გოლოვ. პროს. № 12, „ერთობის“ რედაქციის გვერდით.

◆ **ემიგრანტები.** გუშინ ჟენევიდან ჩამოვიდენ შემდეგი ემიგრანტები: თევზაია ვიქტორი, ოკუჯავა ვლადიმერი, ხოფერია კონსტანტინე და ვაშაძე ალექსი.

◆ **გვატყობინებენ:** რომ ბევრს ალაგას 21 მაისს გაუმართავთ მიტინგები ამხ. ადლერის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის საპროტესტოთ. აგრეთვე გაუმართავთ სამოქალაქო პანაშვიდები ეგ. ნინოშვილის მოსაგონებლათ.

◆ მეოთხე რაიონის კოლექტივი სთხოვს ყველა წევრებს დაჩქარებით გადასცენ ყველა წიგნაკები (საწევრო) და ფული ზუკაკიშვილს. გახსოვთ შემოიტანოთ მეოთხე რაიონის ...რომში (ლორის-მელიქოვის ქ. 1-ლი ქალ. გიმნ.) ბიურო ღიაა [illegible] 3 საათამდე და საღამოს 6 ს. [illegible]

◆ **ზოზარდეიანცის ქარხნის მუშებმა** აპრილის ნამუშევარიდან 317 მ. 28 კ. შეწირეს: 200 მანეთი წითელი ლიტერატურის სასარგებლოთ და 117 მ. 28 კ. მუშათა [illegible]

◆ 22 მაისს ფოთში შემდგარა რევოლიუციონური მიტინგი ამხ. ადლერის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის გამო. სალამი უძღვნა ძვირფას ამხ. ადლერს [illegible] ავსტრიის ჯალათები.

◆ ხუთშაბათს, 25 მაისს, მოხდა საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტის ...რის კომისარების წარმომადგენლებთან ერთად. მაზრის წარმომადგენლებმა მოახსენეს კრებას ადგილობრივი მთავრობების ორგანიზაციის შესახებ, საქმეთა და სანიტარულ მდგომარეობის შესახებ პროვინციებში, სასურსათო კითხვის შესახებ და სხვა. სასურსათო კითხვის შესახებ აღნიშნეს, რომ მდგომარეობა არა სასურველია, რაც შეეხება ორგანიზაციას კი დასაკმაყოფილებელია და ექსცესებიც მოსპობილი. აღმასრულებელი კომიტეტის სხვა კითხვები შემდეგი კრებისთვის გადაიდო.

◆ **თფილისის საქონლის სადგურზე** 26 მაისს ეჭვი შეიტანეს რამოდენიმე ბოჭკებზე. ადგილობრივ კომიტეტის თანდასწრებით გახსნიკეს და რვა ბოჭკაში აღმოჩნდა ოც ფუთამდე სპირტი. რკინის გზის დოკუმენტის ძალით ზემოხსენებული საქონელი ეკუთვნის ფიოდორ ჩხიკვაძეს, რომელიც მიცემულია სადგურ საჯავახოდან. ეს საქონელი მოთავსებულია რკ. გზის კომიტეტში და საქმეც სწარმოებს.

◆ კვირას, 28 მაისს ოზურგეთის რაიონული ს. დ. ორგანიზაცია მართავს ს. დ. საღამოს. მონაწილეობას მიიღებენ: პრ. დოცენტი ამხ. ვ. თევზაია, (დემოკრატიული რესპუბლიკა), ქუჩიშვილი, დ. მიჩანგური, ა. წულაძე და სხვები. წარმოადგენენ დრამას მუშათა ცხოვრებიდან „მადაროს უფროსი მუშა“. დასასრულ კონცერტიული განყოფილება—რევოლიუციონური სიმღერები.

◆ **თ. კიკვაძის ლექცია.** 7 მაისს ნაძალადევის სახალხო თეატრში ამხ. თ. კიკვაძემ საქონლის სადგურის მოსამსახურეების და მუშების კრებაზე წაიკითხა ლექცია თემაზე: „აგრარული საკითხი“. თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. კრებამ მიიღო დადგენილება მიემხროს მიწის მუნიციპალიზაციას.

კრებები და მიტინგები.

რაჭა-ლეჩხუმის დელეგატები ჩამოსულნი მუშათა და გლეხთა სიეზდზე გამართავენ კრებას, შაბათს, 27 მაისს, ნაშუადღევს 5 ს. პირველ ვაჟების გიმნაზიაში, გოლოვინის პროსპექტი. წაიკითხავენ მოხსენებას. მონაწილეობით კირილე ნოჟორიშვილი და თეიმურაზ ჭელიძე.

— კვირას, 28 მაისს, დილის 10 საათზე სახელოსნო კლუბის დარბაზში დანიშნულია კრება ყველა ლითონის ქარხნების მუშებისა სარევიზიო კომისიის ასარჩევათ და სხვადასხვა კითხვების გამოსარკვევით.

— კვირას, 28 მაისს, დილის 8 საათზე (რემესლენაია უპრავა) მოხდება მხატვართა და მღებავართა საერთო კრება. დაამტკიცებენ წესდებას და გაარჩევენ სხვადასხვა კითხვებს.

— დღეს, 27 მაისს, ნაშუადღევს 3 საათზე დიდუბეში—რკინის გზის სასწავლებლის უკან გაიმართება მიტინგი ქალაქის თვითმმართველობის არჩევნების შესახებ. ვსთხოვთ მოქალაქეთ, როგორც მამაკაცებს აგრეთვე ქალებს მიტინგზე დაესწრონ.

— ბაქოდან თფილისში ჩამოდის დოქტორი ნარიმანოვი, რომელიც მოახდენს ყრილობებს და მიტინგებს და წაიკითხავს ლექციებს თათრულ ენაზე.

— 25 მაისს ნაძალადევში მოხდა კრება მოქალაქეთა. ყრილობაზე ილაპარაკეს მეუმრავლესეებმა, მათ პასუხი გასცეს მეუმცირესეებმა. როცა მეუმრავლესეებმა მიწის ნაციონალიზაცია მოითხოვეს და ახლავე მიუწოდეს მიწების ხელში ჩასაგდებათ, კრება მათ ყვირილით შეხვდა, დიდმა უმრავლესობამ მათი წინადადება უარყო.

— დღეს 27 მაისს საღამოს 8 საათზე მოხდება მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრების კრება. ს. კრუკოვსკი მოხსენებას წაიკითხავს. დასწრება შეუძლია ყველას. (ლორის მელიქოვის ქ. № 10).

— დღეს 27 მაისს მოხდება კრება შტაბის სალდათებისა საღამოს 7 საათზე თემა: მიმდინარე მომენტი.

— საქალაქო არჩევნების სამხედრო ცენტრალური ბიუროს კრება მოხდება დღეს 27 მაისს. სთხოვენ ამხანაგებს დაესწრონ.

— დღეს 27 მაისს მესამე საქალებო გიმნაზიაში აზატიანი წაიკითხავს ლექციას, ქალთა კითხვაზე. დასაწყისი საღამოს 7 ნახევარ საათზე.

— კვირას 28 მაისს საღამოს 5 საათზე დანიშნულია მესამე პოლიციის რაიონის საორგანიზაციო კრება—მეორე კოლექტივის რ. ს. დ. მ. პ. მეცხრე ნაწილის. ამხ. ყველას ვსთხოვთ დაესწრონ. კრასნოგორსკი ქუჩა № 10 სკოლაში.

პროვინციის ქრონიკა.

ს. ხუნგა (კვირია). საქონლის ჭირი დე...ლით გურიაში არ ცხრება. განსაკუთრებით... არა, ჭირმა კიდევ უფრო მეტის სიძლიერი... ...ანი ...ავი. წარსულ შემოდგომაზე ...

ეფაში მოვიდა ბე ალი მანფაქნოვსკი საქონელს ყველას თავი მოუყარა და და ვენა. ოქმი კი ამის შესახებ არ წარადგ არსად. ამ ქამათ ბეითლები ბ. ნნი ავ ილ კვიტაშვილი, გალაქტიონ მასხარა ი და ილია გოგილია დიდის მხნეობით ობენ. ავრილი საქონელი თითქმის ყველა დარჩა ჯერჯერობით.

თელავი, 17 მაისს შესრულდა 6 თვე გ. ხირსელის გარდაცვალების შემდეგ. ამ დღის მოუხედავათ იმისა, რომ საქმის დღე იყო მრავალმა მუშამ და გლეხობამ მოიყარა თავი ძვირფას ამხანაგის საფლავზე. სიტყვები წარმოსთქვეს რ. ჩიხლაძემ, ლ. კიმოთიძემ და სხვებმა.

აქვე გამართა წარმოდგენა ადგილობრივმა ინტელიგენციამ სამკითხველოს სასარგებლოთ 13 მაისს. ცუდი ამინდის გამო გაიყიდა მხოლოთ 41 მან. და 23 კაპ. ბილეთები. დაიხარჯა 2 მან. და 10 კაპ. ამრიგად სამკითხველოს დარჩა 39 მ. და 13 კ. წარმოდგენა სასურველათ ჩატარდა. ხალხი კმაყოფილი დარჩა.

უღრმეს მადლობას უძღვნი სცენის მოყვარეებს და განსაკუთრებით პარიკმახერებს იუსტინე გიორგაძეს და პოლიკარპე ახალაძეს რომლებმაც არ დაზოგეს თავიანთი შრომა.

ხ. ჩოხატაური (გურია) 16 მაისს აქ დაარსდა ქალთა კავშირი, რომლის მიზანია ქალთა უფლების დაცვა. ჯერ-ჯერობით ჩაეწერა 120 წევრი, აირჩიეს ბიურო ცხრა პირისაგან შემდგარი, რომელშიაც შედიან, როგორც დედაკაცები, ისე მამაკაცებიც. განზრახულია შესდგეს მკითხველთა ორგანიზაცია.

საზღვარ გარეთ.

მოგონება ფრიდრიხ ადლერზე. მოსკოვში იმყოფება სოციალისტ ფრიდრიხ ადლერის ახლობელი ნათესავი ლ. ა. აბრამოვი.

აბრამოვი დიდხანს სცხოვრობდა ციურიხში, სადაც ფრიდრიხ ადლერი სამეცნიერო დარგში მუშაობდა. რუსების ახალშენში მას ძლიან კარგათ იცნობდნენ, ის ერთნაირათ უყვარდათ როგორც მოსწავლეებს, ისე პოლიტიკურ ემიგრანტებს.

ვინც დაახლოვებით იცნობდა ადლერს, ამბობს აბრამოვი—როგორც განსაკუთრებულ ადამიანს, ფაქიზი, ჩვილი გულის პატრონს, რომელიც „იდეურ ტერორის“ წინააღმდეგიც კი იყო, ვერ წარმოიდგენდა თუ ოდესმე ის რევოლვერს აიღებდა ხელში და ტყვიით გადასწყვეტდა იმ საკითხს, რომელიც ღრღნიდა მის გულს. ადლერი ბევრს სწავლობდა, ბევრს მუშაობდა. ის ჩვენსა ხშირათ დადიოდა სახლში. იქ შეხვდა ჩემს ბიძაშვილ ქალს, რომელზედაც ბოლოს ჯვარი დაიწერა. ერთხან ციურიხში ის სცემდა სოც.-დემოკრატიულ გაზეთს, მაგრამ ის ჩქარა წავიდა ვენაში, სადაც მას მოუწოდეს „არბაიტერ ცაიტუნგ“-ის მდივნის ალაგზე. როცა მე ვენაში ვიყავი ხშირათ ვხედავდი ადლერთან ლიბკნეხტს, აქსელროდს და გრიმლიხს. ადლერთან ხშირათ ბებელიც ხვდებოდა. ადლერი დაინტერესებული იყო რუსეთის ლიტერატურით და რუსეთის ს.-დემოკრატ. წრეში მუშაობდა. ადლერთან ერთათ მე ვიყავი კონსტანცში, სადაც მოხდა რუს, გერმანელ, ავსტრიელ და შვეიცარიელ სოციალისტთა შესანიშნავი კრებობა; როცა უკან დავბრუნდით, გზაში ადლერმა ბევრი მელაპარაკა რუსეთის შესახებ და აღნიშნა ის შეცთომები, რომლებიც რუსეთის სოციალისტებმა დაუშვეს რევოლიუციის დროს და სხვა.

ამერიკელ სოციალისტთა სოლიდარობა. ამერიკის სოციალისტურ პარტიის დელეგატები გილკიტი, ელგიმონონი და ბირგერი, რომელნიც სტოკჰოლმის კონფერენციაზე დასასწრებლათ აირჩიეს, აცხადებენ, რომ **იგინი მხარს დაუჭერენ რუსების ფორმულას „ზავი უანექსიოთ და უკონტრიბუციოთ“.**

გილკიტმა გაზეთის თანამშრომელს განუცხადა, რომ სტოკჰოლმის კონფერენცია ყოველივე ზომებს მიიღებს და შეიძლებს კიდეც, გამოაცალკევდეს იმ მიმდინარეობისგან, რომელიც სეპარატიული ზავის მომხრეა, და მოითხოვს ისეთ ზავს, რომელიც შემდეგში შეუძლებელს ჰყოფს ომს.

საფრანგეთის სოციალისტთა კონგრესი. ამ დღეებში პარიზში გაიხსნა საფრანგეთის სოციალისტთა ნაციონალური კონგრესი. მენშევიკებისა და ბოლშევიკებს შორის დიდი ბრძოლა გამოიწვია ინტერნაციონალის საკითხმა. რაც შეეხება ზავის საკითხს, აქ ორივე მიმდინარეობა თითქმის შეთანხმდა.

ლორდთა პალატის რეფორმა. თემთა პალატის კრებაზე ახალშენების მინისტრმა ლონგმა განაცხადა, რომ ჩქარა მოხდება ლორდთა პალატის რეფორმა და ამისთვის განზრახულია სასწრაფოთ მოიწვიონ თათბირი ამ საკითხის შესამუშავებლათ. მთავრობას იმედი აქვს ეს თათბირი ნაყოფიერათ იმუშავებს და ბევრ რამეს გააკეთებს.

საბერძნეთის მთავრობა სოციალისტების წინააღმდეგ ამხედრდა. ათინიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ იქ ღამის ორ საათზე დააპატიმრეს 5 კაცი, რომლებიც ქუჩებში სოციალისტების პროკლამაციებს არიგებდნენ. ამ პროკლამაციით სოციალისტები მოუწოდებდნენ საბერძნეთის ხალხს ძირს ჩამოაგდონ საბერძნეთის ავტოკრატია და მისი დამქაში გერმანოფილები. ამ ამბავმა მუშებში მღელვარება გამოიწვია. მეფე კონსტანტინე ჯოჯოხეთურ ზომებს ხმარობს, რომ მოძრაობა ჩაჰკლას.

ფანტასტიური ხმები. სტოკჰოლმის ერთ გაზეთში რუსეთის შესახებ საშინელი ამბებია მოთავსებული. გაზეთი ამტკიცებს, რომ **ფინლანდიაში რუსეთის ჯარები ამ უკანასკნელ ხანებში მეტათ გაძლიერეს. და გარდა ამისა კიდევ 10 000 ჯარისკაცი გაგზავნეს.**

შემდეგ ეს გაზეთი (აფტონბლადეტ) ამტკიცებს, რომ იაპონელებმა უკვე აიღეს ვლადივასტოკი, ხარბინში 15 დივიზია დააყენეს და ხარბინიდან ბაიკალამდე რკინის გზა იაპონლების ხელშია. ინგლისელებმა არხანგელსკი და ალექსანდროვსკი დაიჭირეს და სხვა ამ გვარი ზღაპარია მოთხრობილი ამ პატივცემულ გაზეთში, როგორც ეს გაზეთი ამბობს, ეს სენსაციური ამბები უთქვამს მისთვის ერთ სანდო პირს, რომელიც პეტროგრადიდან მისულა იქ და, რომელიც კარგად იცნობს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას. ეტყობა ამ პატივცემულ პირს მართლა „კარგათ“ სცოდნია რუსეთის ამბავი და პატივცემული გაზეთიც ადვილათ ასაღებს ასეთ ზღაპრებს.

კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების სიეზდი.

(მეხუთე დღე, 25 მაისი).

თავმჯდომარეობს **ხოჩნიევი**.

სხდომას დაესწრო სილიბისტრო ჯიბლაძე. გლეხებმა დაინახეს იგი და სთხოვეს დაეჭირა თავისი ადგილი, როგორც საპატიო თავმჯდომარეს.

სილიბისტრო ადის სცენაზე და გრძნობიარე სიტყვით ესალმება სიეზდს. მესამე მამოძრავებელი ძალა—ამბობს ორატორი—ბურჟუაზია, შორდება რევოლიუციას. ხსნა დემოკრატიის გაერთიანებაშია. მუშათა კლასმა და ჯარმა სთქვეს თავის სიტყვა, მათ დაანგრიეს ძველი და დღესაც დარაჯათ უდგანან რევოლიუციას, მაგრამ საჭიროა გლეხობის ამოძრავებაც, ისე საგლეხო რუსეთში რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებს. ორატორი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ გლეხობაც დადგა შეკავშირების გზას რაც თავდებია გამარჯვებისა, მაგრამ მწუხარებით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ დღეს მუშებშიაც იჩინა თავი უთანხმოებამ, ამას შეიძლება ანარქია მოჰყვეს და უნდა ვებრძოლოთ. ომის ლიკვიდაცია ინტერნაციონალს შეუძლია, გაუმარჯოს ინტერნაციონალს, საერთაშორისო დემოკრატიას, გაუმარჯოს თქვენ და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

ამ დროს დარბაზში შემოდიან ახლათ დაბრუნებული ემიგრანტები ლასა მგელაძე და იოსებ სალაყაია. ამხ. გრ. გიორგაძის წინადადებით სიეზდი ესალმება თავისუფლებისათვის ძველ მებრძოლებს და ოვაციებს უმართავს. ლ. მგელაძე, აღელვებულის ხმით მიმართავს დამსწრეთ შინაარსიან და ლამაზათ წარმოთქმული სიტყვით. თქვენთან სიცოცხლე, თქვენთან ბრძოლა, თქვენთან სიკვდილი—ვეცდებით თქვენთან ერთათ განვაგრძოთ მუშაობა.

ამის შემდეგ **ნოე ჟორდანია** აკეთებს მოხსენებას კოალიციონურ სამინისტროზე. ჩვენი ამხანაგები—ამბობს მომხსენებელი—სამინისტროში შესვლით ისახავენ მიზნათ ერთ და იმავე დროს ემსახურონ რევოლიუციას და დაიცვან მუშათა კლასის ინტერესები. ეს გარემოება ბადებს უხერხულობას: თავის კლასის ინტერესების მედგრათ დაცვა გამოიწვევს დანარჩენ მინისტრების მხრით უკმაყოფილებას და დაბადებს კრიზისს, ხოლო მუშათა კლასის ინტერესების დავიწყება კი ჩამოაგდებს კონფლიკტს მათ შორის. მომხსენებელს მოჰყავს ისტორიული მაგალითები და ამბობს, რომ დემოკრატიის წარმომადგენლები შედიოდენ კოალიციონურ სამინისტროში ქვევიდან წამოყენებულ მოთხოვნილების თანახმათ, რასაც გაბატონებულ კლასების წარმომადგენლები ყოველთვის ეწინააღმდეგებოდენ, და შეჰქონდათ სამინისტროში რესპუბლიკისა და შრომის სუფევის იდეა. ჩვენში სულ სხვაგვარი მდგომარეობაა. აქ იმისთვის არ შესულან სამინისტროში, რომ ახალი იდეები შეეტანათ. ერთათ-ერთი მიზეზი 18 აპრილის ცნობილი ნოტა იყო, რომელიც უარყოფილ იქნა შემდეგ, მაგრამ მაინც შევიდენ სამინისტროში. და ეს გამოიწვია ბურჟუაზიის დამუქრებამ, თუ არ მიიღეთ მონაწილეობა, ჩვენ ხელს ავიღებთ მართვა-გამგეობაზეო და, მაშასადამე, ჩვენი ამხანაგები შევიდენ სამინისტროში ბურჟუაზიის ზეგავლენით და არა მუშათა კლასის მოთხოვნით. ეს პირველი შემთხვევაა ისტორიაში, როცა ბურჟუაზია თვით ეხვეწება დემოკრატიის წარმომადგენლებს შევიდნენ კოალიციონურ სამინისტროში. ბურჟუაზიას თავის მუქარის ასრულებაში მოჰყვანა არ შეეძლო, რადგანაც მას სჭირია ძლიერი ძალა-უფლება, რომ აიცილოს ანარქია და დაიცვას თავისი ქონება. მაგრამ თუ მაინც იმუქრებოდა, ეს იმიტომ, რომ მთელი პასუხისმგებლობა ჩვენთვის დაეკისრებინა. და ჩვენც გაგვიტაცა ამ პროვოკაციამ. 3 წლის განმავლობაში ანადგურებენ ქვეყანას და დღეს რომ გამოაკეთონ წახდარი საქმე უნდათ ჩვენზე გადმოიტანონ მთელი პასუხისმგებლობა. მუშათა კლასმა დიდი პოლიტიკური შეცდომა ჩაიდინა. ჩვენ შევედით სამინისტროში, მაგრამ ჯერ კიდევ არ დამყარებულა რესპუბლიკა, არ არის გამორკვეული სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმა და, მაშასადამე, ჩვენი ამხანაგები მონარქიული წყობილების შესაძლებლობის წინაშე დგანან, ეს კი დემოკრატიულ პრინციპებიდან გადახვევას მოასწავებს.

ჩვენი ამხანაგები შევიდენ სამინისტროში, როგორც სოციალისტურ დემოკრატიის წარმომადგენლები. შრომის სამინისტროს პორთფელი ჩააბარეს ამხ. სკობელევს, საკვირველი მსგავსებაა ლუი-ბლანთან და ვშიშობ შედეგიც ერთგვარი არ იქნეს. კოალიციიდან გამოსვლა—ისტორიული მოვლენაა, ბურჟუაზიას უნდა ჩვენ ჩაგვიტოვოს ხელში წამხდარი საქმე, დაგვაკისროს პასუხისმგებლობა, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ ეს არ მოხდეს. მეტათ ტრაგიკულია ამხანაგების მდგომარეობა: თუ არ წამოაყენეს სოციალისტური მოთხოვნილებანი—მუშები დარჩებიან უკმაყოფილო, თუ წამოაყენეს—ბურჟუაზია შეაქცევს ზურგს. სამინისტროში რომ არ შესულიყვენ, მაშინ არ იქნებოდა ასეთი მდგომარეობა და შეძლება გვექნებოდა გვეწარმოებია დამოუკიდებელი პოლიტიკა, მაგრამ დღეს უკვე ფაქტთან გვაქვს საქმე, შეცდომა ჩადენილია, არ შეგვიძლია ისინი უკან გამოვიწვიოთ, მაგრამ ამასთანავე არც ის შეგვიძლია, რომ მათ ბედს დაუკავშიროთ მუშათა კლასის ბედი. ჩვენს ამხანაგებს სრული ნდობით ვეკიდებით, მაგრამ არ შეგვიძლია აბსოლიუტური ნდობა გამოუცხადოთ იმ მთავრობას, რომელშიაც სოციალისტები უმცირესობას შეადგენენ, ამით ჩვენ მუშათა კლასს ხელფეხს შევუკრავდით. არ ცდება მხოლოდ კლასი, ცალკე პიროვნებებს შეუძლიათ შეცდომა ჩაიდინონ (ა. კერენსკიმ აკი მოაწერა ხელი 18 აპრ. ნოტას). მაშასადამე წინასწარ სრული ნდობის გამოცხადება არ შეიძლება, თვით ისინი უნდა ემყარობოდენ ნდობით მუშათა კლასს.

ჩვენი ტაქტიკა იყო—მუდამ რეზერვში ვყოფილიყავით, ჩვენ არასოდეს არ მივისწრაფოდით პორთფელებისაკენ, რევოლიუციით სხვა ძალებიც არიან დაინტერესებული და ჩვენ მხოლოდ მაშინ გამოვალთ ავანსცენაზე, როცა ყველა ძალა გამოილევა, შეასრულებს თავის ისტორიულ როლს. მაგრამ სანამ ეს არ მომხდარა, კოალიციონურ სამინისტროში შესვლა დიდი პოლიტიკური შეცდომაა; მაგრამ დღეს უკვე მომხდარ ფაქტთან გვაქვს საქმე, ამით რა თქმა უნდა ჩვენს ტაქტიკას ვერ შევცვლით. უნდა გამოუცხადოთ ნდობა არა მარტო ამხანაგებს, მთავრობასაც იმდენათ, რამდენათ იგი ახორციელებს დემოკრატიის მოთხოვნილებებს. და თუ გადაუხვევენ ამ სწორ გზას, მაშინ ჩვენი ნდობაც მოაკლდებათ და იძულებული იქნებიან სამინისტროდან გამოვიდენ. ჩვენ უნდა გავაკრიტიკოთ მთავრობის მოქმედება, უნდა ვუჩვენოთ მას სწორი გზა. ასეთი იყო ჩვენი ტაქტიკა რევოლიუციამდე და ის უნდა დავიცვათ შემდეგშიაც თუ გვინდა, რომ რევოლიუციამ გაიმარჯვოს.

სიდოროვი იმედს გამოსთქვამს, რომ ბურჟუაზიული მინისტრები თანდათან გამოეცლებიან მთავრობას, მათ ადგილს დაიჭერს სოციალისტი მინისტრები და ჩვენც მხარი დაუჭიროთ სოციალისტურ მთავრობასო.

გ. აიოლლა აღნიშნავს, რომ ლუი-ბლანისა და სხვ. დამარცხება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მაშინ მუშათა კლასი არ წარმოადგენდა საგრძნობ შეკავშირებულ ძალას. ჩვენში სულ სხვა მდგომარეობაა. კოალიციონური სამინისტროს მიზანია რევოლიუციის ბოლომდი მიყვანა და არა სოციალური რეფორმების მოხდენა, ამისთვის საჭირო იყო სამინისტროში შესვლა და ჩვენც მხარი უნდა დავუჭიროთ მას. ბურჟუაზიამ განაცხადა, არ შემწევს ძალაო, და ხელიდან გაუშვა პორთფელები. შეკავშირებულმა პროლეტარიატმა და გლეხობამ უნდა აიღოს იგი პორთფელები, რომ რევოლიუციამ გაიმარჯვოს. ორატორი კითხულობს თავის რეზოლიუციას, რომელიც მიღებულია ბაქოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და მოითხოვს მთავრობას გამოეცხადოს სრული ნდობა, თუმცა იგი პასუხს მგებელია დემოკრატიის წინაშეო.

შევჩენკო ამბობს, რომ როცა ბურჟუაზიულ მთავრობას მოვაკელით ჩვენი ნდობა, მილიუკოვი თვითონ გავიდა სამინისტროდან. საჭიროა ძლიერი მთავრობა, რომელსაც უნდა გამოუცხადოთ ნდობა, რომ ანარქია თავიდან ავიცილოთო.

გამოირკვა სამი მიმართულება: სრული ნდობა, სრული უნდობლობა და პირობითი ნდობა კოალიციონურ მთავრობას. თითო მიმართულებას ჯგუფებიდან ლაპარაკობს ორ-ორი ორატორი.

ტერ გაბრიელიანი (ბოლშ.) საფრანგეთის მაგალითი დღეს მოსაყვანი არ არის. რამდენათაც რევოლიუცია სოციალურ მოთხოვნილებას აყენებს, ძალა-უფლება ჩვენ უნდა გვეჭიროს ხელში, ბურჟუაზიას უნდა ვუკარნახოთ ჩვენი სურვილები. დღეს ფაქტიურათ მმართველობა საბჭოების ხელშია, იურიდიულათაც მათ ხელში უნდა გადავიდეს იგი, თუ გვინდა, რომ თავიდან ავიცილოთ ანარქია.

აფანასიევი (ს. რ.) მოითხოვს სრულ ნდობას კოალიციონურ სამინისტროსადმი.

ი. ხალაჟაია. თავდაპირველათ შეიქმნა ორი ორგანო: მთავრობა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო. ევროპაში ბურჟუაზია ამბობდა, რომ ერთად-ერთი რევოლიუციონერი ორგანო—ეს მთავრობა არისო, მაგრამ სხვების თვალში საბჭო მეტის ნდობით და შეუდარებელი ავტორიტეტით სარგებლობდა. მაგრამ ეს გავლენა შეიძლება შემცირდეს იმ პოლიტიკური შეცდომით, რომელიც ჩავიდინეთ სამინისტროში შესვლით. ევროპის ბურჟუაზია უკვე აცხადებს, რა საჭიროა სხვა ორგანო (საბჭო) როცა სოციალისტები შევიდნენ სამინისტროშიო. მაგრამ სამინისტროში მარტო 6 სოციალისტია და მათ არ შეუძლიათ ომის ლიკვიდაცია მოახდინონ, თორემ ჩვენ თვითონ ვეტყოდით შესულიყვენ სამინისტროში. საჭირო იყო დამფუძნებელი კრების მოწვევის დაჩქარება. ამ მხრივაც ჯერ არაფერი გაკეთებულა და გარედან მეტ გავლენას მოვახდენდით, ვინემ სამინისტროში შესვლით. ამბობენ, ბურჟუაზიამ დაყარა პორთფელები და ჩვენ, რომ არ შევსულიყავით, სამინისტროში არავინ დარჩებოდაო. დიდი გულუბრყვილო უნდა იყო ადამიანი, რომ ეს დაიჯერო. ბურჟუაზიას არ შეუძლია ხელიდან გაუშვას ის ძალა-უფლება, რომელიც მას ისტორიულ მსვლელობამ მიანიჭა. სამინისტროში შესვლა უფრო ადვილია, ვინემ იქიდან გამოსვლა. ჩვენ უნდა დაუჭიროთ მთავრობას მხარი იმდენათ, რამდენათაც იგი ემსახურება ჩვენ მიერ დასახულ მიზნის განხორციელებას. თუ ამხანაგებმა უნებლიეთ გადაუხვიეს ამ გზას, უნდა გამოვიწვიოთ ისინი უკან, რომ მინიმუმამდე არ დავიდეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ავტორიტეტი.

კამათის გაგრძელება გადაიდო შემდეგი სხდომისათვის. ამხ. კ. ნინიძეს შემოაქვს განცხადება, რომ ს.-რ-ები აგიტაციას ეწევიან სიეზდზე ახლათ მოსულ გლეხებში, ეუბნებიან მათ, რომ ეს თქვენი სიეზდი არ არის, თქვენი სიეზდი შემდეგისათვის არის დანიშნული და უკან აბრუნებენ მათ. მაჩაბელი ამოწმებს ამ განცხადებას და ამბობს, რომ ამას სჩადიან შეუგნებელი ს.-რევოლიუციონერები და იმედია შეგნებული ამხანაგები მოახდენენ მათზე გავლენასო. **ვ. ალათიშვილი.**

P. S. მე-54 ნომერში მოთავსებულ ანგარიშში შეცდომით სწერია: „გლეხი ივ. კარტიშვილი, რომელიც ქართლელ გლეხების სახელით ესალმება სიეზდს“, უნდა იყოს: „გლეხი ივ. ტატიაშვილი, რომელიც საარაგვოს გლეხების სახელით და სხ.“. ვ. ა—ი.

კავკასიის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა.

23 მაისი (**დილის სხდომა**).

კრებას თავმჯდომარეობს ი. პალმოვი. კითხულობენ წინა დღის ოქმებს. კრება მათ ერთხმად ამტკიცებს. ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა მომხსენებელ უზნაძეს. ის უპასუხებს ორატორებს და იცავს თავის მოხსენების თეზისებს. მოხსენების თეზისებს კრება ცოტაოდენი შესწორებით იღებს. ი. პალმოვი კრებიდან მიდის და მის ალაგს იჭერს ზანდუკელი.

ა. ფლავა კითხულობს სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ არჩეულ კომისიის მიერ შემუშავებულ თეზისებს. დიდს კამათს იწვევს ერთი მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ნაციონალურ სკოლებს განაგებს ნაციონალური კოლექტივი. მთელი რიგი ორატორებისა ამტკიცებს, რომ ნაციონალურ სკოლას უნდა განაგებდეს შერეული კოლექტივი, რომელშიაც შევლენ, როგორც ერების წარმომადგენლნი, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადო ორგანიზაციებისა. უკვე სამი საათია და კრებაც სწყდება საღამომდის. ამ დროს შემოდის წერილობითი პროტესტი ს. დემოკრატების მხრით იმ რეზოლიუციის წინააღმდეგ, რომელიც კრებამ მიიღო თანამედროვე მომენტის შესახებ. პროტესტს ხელს აწერს 104 დელეგატი.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს იშკოვი. პირველად წინანდელ ოქმებს კითხულობენ. კრება ოქმებს ამტკიცებს. გრძელდება კამათი სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ. კიდევ დიდს კამათს იწვევს მუხლი, რომელშიაც ნათქვამია, რომ რუსულ გიმნაზიაში შესვლა განსაზღვრულია სხვა ერებისათვის. კრება უარს ყოფს და ადგენს, რომ მშობლებს ნება უნდა მიეცეთ რომელ სკოლებშიაც უნდათ, იმაში მიაბარონ თავიანთი შვილები. კრება აგრეთვე ადგენს, რომ რუსულ ენის სწავლება ნაციონალურ სკოლებში შეუძლია სხვა ერის მასწავლებელსაც თუ ამას შესაფერისი მომზადება ექნება. უნდა აღინიშნოს, რომ თეზისები ბუნდოვანად არის შედგენილი, რაც კრებაზე გაუგებრობას იწვევს. ამის გამო მომხსენებელი ფლავა მალ-მალ სიტყვას ითხოულობს, რაც წესიერებას არღვევს. თავმჯდომარე კრებას თავს ანებებს, მაგრამ კრება მას ერთხმად სთხოვს და ისიც განაგრძობს თავმჯდომარეობას. თავდება საკითხი ნაციონალიზაციის შესახებ და კრებაც იხურება.

24 მაისი (**დილის სხდომა**).

კრებას ხსნის ი. პალმოვი. ერთი პრეზიდიუმის წევრი აცხადებს, რომ კრების მიერ სამხედრო ყრილობაზე გაგზავნილ დელეგატებს საშუალება არ მისცეს გამოექვეყნებინა ის რეზოლიუცია, რომელმაც გაუგებრობა გამოიწვია. კრება ადგენს აღინიშნოს ეს პრესაში და რეზოლიუციაც გამოქვეყნდეს. ამის შემდეგ თავმჯდომარის ადგილს ა. ფლავა იჭერს. კრება იხილავს საკითხს სასწ. ოლქ. რეორგანიზაციის შესახებ. ამის შესახებ მოხსენებას აკეთებს მ. შახნაზაროვი. ირკვევა, რომ ყოფილა სამი მოხსენება, მაგრამ ორი მოხსენება თვით ავტორების მიერ იხსნება და რჩება მხოლოდ ერთი, რომელიც შედგენილია კომისარიატთან არსებულ საერთაშორისო თათბირისა. ამ დროს ჩრდილო კავკასიის მასწავლებლებს შემოაქვთ განცხადება, რომელშიაც ამბობენ, რომ მათთვის მიუღებელია, როგორც ეს პროექტი, აგრეთვე უკვე მიღებული პროექტი სკოლების გამგებლობისა. ამაში ისინი ხედავენ ცენტრალიზმს და სკოლის ავტონომიის უარის ყოფას.

კრება შეუდგება მუხლობრივ განხილვას წარმოდგენილი პროექტისა. ამ პროექტით კავკასიის სასწავლო ოლქს განაგებს: კომისარიატი და საბჭო. ზოგიერთი მუხლი ამ პროექტისა მეტად მწვავე კამათს იწვევს—კომისარებს ნიშნავს განსაკუთრებული ამიერკავკ. კომიტეტი. დილის კრება სწყდება საღამოს, შვიდ საათამდე.

საღამოს სხდომა.

კრებას თავმჯდომარეობს ნ. ცინცაძე. კითხულობენ წინანდელ ოქმს. კრება ოქმს ამტკიცებს. იმართება კამათი ზემო აღნიშნული მოხსენების შესახებ. არჩევენ საბჭოს შემადგენლობას. აქ დიდს კამათს იწვევს მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ საბჭოში შედიან მასწავლებელთა ნაციონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამას იცავენ ფედერალისტები. ს.-დემოკრატებს ეს არა სასურველად მიაჩნიათ. კრება ხმის უმეტესობით ს.-დემოკრატების წინადადებას იღებს. ეს ფედერალისტებს არ მოსწონთ. ისინი ხელმეორედ კენჭს უყრიან, მაგრამ კრება მაინც თავისას ადგა. ამის შემდეგ ფედერალისტი ფლავა რამოდენიმეჯერ უბრუნდება ამ საკითხს და სცდილობს ასე თუ ისე საქმე გამოაკეთოს, მაგრამ ამაოთ. კრება იღებს მთელ პროექტს. მისი უმთავრესი მუხლები ასეთია: სასწავლო ოლქს განაგებენ: კომისარიატი და საბჭო. საბჭოს შემადგენლობა ასეთია: 12 წევრი სახალხო თათბირის მიერ რჩევით და განსაკუთრებული ამიერ-კავკასიის კომიტეტის დამტკიცებით, 4 წარმომადგენელი მუშათა საბჭოში (2 ჩრდილო კავკასიიდან და 2 ამიერიდან). 4 წევრი გლეხთა საბჭოდან (2 ჩრდილო კავკასიიდან და ორიც ამიერიდან). მასწავლებლების მხრით მთელი საბჭოს ნახევარი, თითო წარმომადგენელი მუნიციპალიტეტისა და საგუბერნიო და საოლქო კომიტეტებისა, როცა საკითხი მათ სკოლებს ეხება. გარდა ამისა საბჭოს როეზისდაგვარათ მოწვეულ იქნებიან ერების წარმომადგენლებიც. კრება რამოდენიმე წუთით სწყდება.

კრების განახლების შემდეგ კითხულობენ საშუალო სკოლების სექციის დადგენილებებს. ეს დადგენილებები ეხებიან: სწავლების გაუმჯობესებას და მართვა-გამგეობას. პირველს კრება ერთხმად უკამათოთ იღებს. ხოლო მეორე დიდს კამათს იწვევს. განსაკუთრებით ის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ მთელი მასწავლებლობა ხელახლად არჩეულ უნდა იქმნას კამათის შემდეგ ხმის უმეტესობით კრება სასურველად სცნობს ენკენ სთვემდის მოხდეს მთელი მასწავლებლობის არჩევნები. გასარჩევია კიდევ ბევრი მუხლი, მაგრამ უკვე შუაღამეა და კრება მეორე დღისთვის ინიშნება. ამ კრებაზე სხვათა შორის გამოითქვა სურვილი, რომ ჩრდილო კავკასია გამოიყოს ცალკე სასწავლო ოლქად. პ. ხ—შვილი.

რევოლიუცია პროვინციაში.

ხ. ხვირი (ზემო იმერეთი). 21 მაისს მოხდა არჩევნები აქ. კომიტეტის წევრებისა. დაესწრენ ორი პარტიის წარმომადგენელნი ს. დ. კალ. ანდღულაძე და ს. ფედ. ვარ. ლეშკაშვილი. კრება გახსნა რაიონის რაიონის კომისარმა ტრიფონ მგელიშვილმა, თავმჯდომარეთ აირჩიეს მასწ. გრიგოლ ჯაღელი. მდივნათ კი ვარლამ კაპანაძე. დაასახელეს 22 კანდ. დადგეს ყუთი, მოხდა არჩევნები ფარული კენჭის ყრით. კენჭის დათვლის შემდეგ, კომიტეტის წევრებათ გავიდნენ ხმის უმეტესობით შემდეგი პირები: 1) სიმონ კაპანაძე, 2) გრიგოლ ჯაღელი. 3) ლადიმერ კობზირიძე, 4) [illegible] ჯაღელი (მასწავლებელი), 5) [illegible] ჯუღელი, 6) იასონ [illegible], 7) ნესტორ სულაქველიძე, 8) ივ. ჭულუხაძე, 9) სარდიონ ბოჭორიშვილი, 10) [illegible], 11) სევერიან ედიბერიძე და 12) ვლადიმერ კაპანაძე. კანდიდატებათ: 1) აგაბო ლომინაშვილი (მოსწავ.), 2) სილოვან წაქაძე (მასწ.) და 3) ამბაკო კაპანაძე (გლეხი). ახლად არჩეულმა კომიტეტმა იქვე მოახდინა სხდომა, და კომისრათ დატოვეს იგივ გიორგი კაპანაძე და მის თანაშემწეთ კონსტანტინე წიქაძე. თავმჯდომარეთ აირჩიეს სევერიან ედიბერიძე და მის ამხანაგათ სიმონ კაპანაძე. არჩევნები სასურველათ ჩატარდა, რასაც არ მოველოდით. ყველა ამ დღის არჩეული პირები სოც. დემ. არიან.

ჯიუტი.

დ. ზუგდიდი. ამ დღეებში დ. ზუგდიდში მოხდა ახალი არჩევნები სამოქალაქო კომიტეტში. არჩევნები სწარმოებდა სიებით. ს.-დ. ორგანიზაციამ წინადადება მისცა სხვა პარტიის ორგანიზაციებს შეერთებულათ მომხდარიყო კანდიდატების არჩევნები და კანდიდატების სიაში ყველა პარტიის წარმომადგენლები თანასწორად შეეყვანენ. ეს წინადადება ს.-ფედ. მიერ უარყოფილ იქნა. მიუხედავათ ყოველნაირ უკანონო ზომებისა, რომელსაც მიმართეს აქაურმა ს.-ფედერალისტებმა და მიუხედავათ იმისა, რომ მათ ბლოკი ქონდათ შეკრული ბურჟუაზიულ, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან, ჩვენი ორგანიზაციის მიერ წამოყენებულ კანდიდატებს 300 მეტი ხმა აღმოუჩნდა და ამნაირად კომიტეტში შევიდენ მხოლოდ ს.-დ. პარტიის წარმომადგენლები.

11 მაისს მოხდა ახალი სამაზრო კომიტეტის სხდომა. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ძველი სამაზრო კომიტეტის, ყველა პარტიის და მუშათა და ჯ.-კაცთა დეპ. საბჭოს წარმომადგენლებმა. მისალმების შემდეგ კომიტეტი შეუდგა სხვადასხვა კითხვების გარჩევას. შესანიშნავია ის, რომ სოფლებმა სამაზრო კომიტეტში გამოგზავნეს მხოლოდ ს.-დემოკრატები. სხვა პარტიის კაცი არ ურევია ამდენ სოფლის წარმომადგენლებში.

სოფლებიდან ყოველ დღე ჩამოდიან დეზერტირები წითელ ზაირაღით და მიემგზავრებიან დ. ახალ-სენაკში უფროსთან გამოსაცხადებლად.

15 მაისს დ. ზუგდიდის უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლის შენობაში გაიხსნა კურსები ზუგდიდის მაზრის სოფლის მასწავლებლებისთვის. ლექციების კითხვა და ქართული ენის შესწავლა სწარმოებს დილა საღამოობით. კურსები გაგრძელდება ორ თვეს. ჯერ ჯერობით ჩაწერილია 140 კაცი.

იკირკიშ.

თფილისი. ცოტა რამ დიზინფექციონი კამერის ექიმის შესახებ. ბ. ხარაზოვი ყოველ მხრივ ეწინააღმდეგება მუშებს. მას ვერ მოუთმენლებია, რომ მისი ბრძანების გარეშე ხდებოდეს რამე. აქ არის 50 მუშა. ამათ ვერ მოუხერხებიათ ხეირიანი ორგანიზაციის მოწყობა. მართალია აქ არსებობს ადგილობრივი საბჭო 7 კაცისაგან. ამ საბჭოს აქვს უფლება მუშების მიღება-დათხოვნის, მაგრამ ამას ვერ ახერხებენ, რადგან ექიმი ხარაზოვი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს მათ.

აქ ერთი მსახურია, რომლის მიზეზით უსუფთაობა სუფევს. მუშებმა დაადგინეს სხვა მოეწვიათ მის მაგიერ, მაგრამ ამის წინააღმდეგი გახდა ექიმი ხარაზოვი, ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

მ. ზესტაფონელი.

მურღულის სპილენძის სამრეწველო რაიონი. 17 მაისს მოულოდნელად ესტუმრა მურღულის მუშებს მეოთხე სახემწ. დუმის დეპუტატი აკაკი ჩხენკელი. ამ დროს მუშები ყველა სამუშაოთ იყო, მუშათა საბჭოს განკარგულებით მაშინვე ქარხნის საყვირით მოუწოდეს მუშებს და ამცნეს, საყვარელი აკაკის მოსვლა. მაშინვე მუშების კრებამ აირჩია ორი კაცი, ტეხნიკი შატილოვი და მუშა მიხა ჭანტურიშვილი, რომლებსაც დაავალეს ყველა მუშებისა და მუშათა საბჭოს სახელით მისასალმებელი სიტყვები ეთქვათ; ამ დროს აკაკიც შემოვიდა დარბაზში, მისმა დანახვამ მუშებში დიდი სიხარული, ურას ძახილი და ტაშის ცემა გამოიწვია.

მუშების წარმომადგენლები მიესალმენ ბ. აკაკის და მიულოცეს ბედნიერი დღე. დეპუტატმა ილაპარაკა ქართულ და რუსულ ენაზე და გააგებია ყველას, თუ როგორ და გზით მოხდა იმ მოხარბეული წესწყობილების დანგრევა, რომელიც საუკუნოების განმავლობაში გასაქანს არ გვაძლევდა. მოხსენების შემდეგ დეპ. მოუწოდა ყველა მუშებს განურჩევლად ეროვნებისა, ორგანიზაციულ მუშაობისაკენ. ურჩია შავრაზმელების წინააღმდეგ დარაზმვა. მოხსენების შემდეგ მუშებმა დეპუტატს გააცნეს მუშაობის პირობები. ხელფასი მეტად მცირეა აქ, გაფიცვა შეუძლებელია, რადგან ქარხანა თავდაცვის საქმეს ემსახურება, ამიტომ სთხოვენ დეპუტატს დარიგებას. დეპუტატმა მუშებს მიუთითა მომრიგებელი კამერაზე და ურჩია გამორკვეულიყო ჯერ-ჯერობით თუ მუშების ეკონომიურ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებენო იმ შემთხვევაში შეგიძლიათ გაიფიცოთო, სთქვა დეპუტატმა. დეპუტატმა იმისაგან განადგურებული ქართველ მაჰმადიანებში ბევრი საყურადღებო ცნობები შეკრიბა და აღუთქვა მათ დახმარება.

გაგურელი-იფონიეშვილი.

პროვინციის ცხოვრება.

ჭიათურის მუშებისა და მცხოვრებთადმი. მოქალაქენო! ამ დღეებში სავსებით დასრულდა სოფლისა და დაბების ალმ. კომიტეტების რეორგანიზაცია დემოკრატიულ საფუძველზე. შექმნეს სარაიონო კომიტეტებიც და და ჩქარა სამაზრო სიეზდი უნდა მოხდეს მაზრის კომიტეტის ასარჩევად და საგუბერნიო სიეზდზე დელეგატების გასაგზავნად.

ჭიათურა, თანახმად საგუბერნიო კომიტეტის დადგენილებისა, წარმოადგენს ცალკე რაიონს და ამიტომ მცხოვრებნი ირჩევენ პირდაპირ სამრეწველო სარაიონო კომიტეტს 11 წევრისაგან და 3 კანდიდატისაგან. არჩევნები დანიშნულია დღეს, 27 მაისს, მოხდება დახურული ბარათებით. საჭირო კონვერტებს და ჩასაწერ ბლანკებს ამრჩევლები მიიღებენ ჭიათურის ალმ. კომიტეტიდან. ჩვენ მოვიწვიეთ პარტიების წარმომადგენლები და მოუწოდეთ შეთანხმებისაკენ. ყველამ თანხმობა განაცხადა, ხოლო სოც.-დემოკრატებმა იქვე მისცეს სხვებს წინადადება ადგილების შემდეგ ნაირად განაწილებისა; 5 ადგილი სოც. დემოკრატებს, ორ-ორი ს. რევოლიუციონერებს და ს. ფედერალისტებს, ერთი ნაც. დემოკრატებს და ერთიც ნეიტრალისტებს. ეს წინადადება მიიღო ყველამ, გარდა ნაც. დემოკრატებისა, რომლებმაც მეორე დღეს აღიარეს თავი შეურაცყოფილად იმის გამო, რომ ორ პატარა პარტიებზე დაბლა დააყენეს და თხოულობენ მათთან გათანასწორებას. ეს მათი ქადილი, ჩვენი დავალებით, ხელმეორეთ განიხილა სოც. დემ. კომიტეტმა, მაგრამ ვერ დაინახა შესაძლებლად დაკმაყოფილება. ამის შემდეგ ნაც.-დემოკრატებმა, არჩევნებში მონაწილეობაზე უარი სთქვეს და აღმასრულებელ კომიტეტთან და პარტიებთან შეთანხმებით მათგან დატოვებული ადგილი ჩვენ თვითონ შევავსეთ.

სია ეხლა შემდეგია: 1) სიმონ დავითის ძე ჯაფარიძე (ექიმი), 2) გიორგი სოლომონის ძე ხუნდაძე (ინჟენერი), 3) გიორგი ანტონის ძე ანთელიძე (მასწავლებელი), 4) გიორგი სპირიდონის ძე ნუცუბიძე (ზეინკალ-მექანიკე), 5) ევსევი დავითის ძე თოდუა (ბუღალტერი), 6) კალისტრატე კონსტანტინეს ძე ჭეჭელაძე (ტეხნიკი), 7) პოლიევქტ ილარიონის ძე აბესაძე (ბანკის დირექტორი), 8) პორფირე ფილიპეს ძე თოფურია (მრეწველი), 9) პარმენ გიორგის ძე ჭანიშვილი (მასწავლებელი), 10) ნიკო მაქსიმეს ძე წუწუნავა (მასწავლებელი), 11) მიხეილ ზაქარიას ძე გალუსტოვი (ვაჭარი).

კანდიდატებათ: 1) ლევანტი გლახუას ძე ძიმისტარაშვილი (საბჭოს მოსამს.), 2) მიხეილ მასხულია (ვექილი), 3) ალექსანდრე ხაზულიანი (მრეწველი).

ამ სიით გამოვდივართ ჩვენ. რასაკვირველია, თვითეულ მოქალაქეს უფლება აქვს ამ სიის შეცვლის ან სულ გამოცვლის, რისთვისაც მას ბლანკს მიაწოდებს თვით კომიტეტი. ხოლო ის, ვინც ეთანხმება მუშათა დეპუტ. საბჭოს, კომიტეტისაგან მოწოდებულ კონვერტში ჩადებს ამ სიას და მიიტანს დანიშნულ ადგილზე ყუთში ჩასადებათ.

ჭიათურის მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

ზემო-ავჭალა. ზემო ავჭალა ერთ ჩამორჩენილ სოფელთაგანია. აქ მხოლოდ ერთ კლასიანი სამრევლო სასწავლებელი არსებობს. ეს სასწავლებელიც ყოველივე მხრით მოუწყობელია. მთელ სოფელში ორ კაცს ვერ ნახავთ წერა-კითხვის მცოდნეს. ამიტომ ზემო ავჭალის ინტელიგენტებმა განვიზრახეთ წერა-კითხვა გვესწავლებინა მათთვის და წიგნები გვეკითხა და ამ გვარად მოგვემზადებინა ხალხი ახალ ცხოვრებისათვის. მოვიწვიეთ მასწავლებლები, შევიძინეთ საჭირო ნივთები, მოუყარეთ ხალხს თავი, განუმარტეთ ჩვენი განზრახვა და ვსთხოვეთ ყოველ დღე, როდესაც მუშაობას მორჩებოდნენ საათ ნახევარი შეეწირათ წერა-კითხვის შესწავლისათვის, მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. პირველ დღეს დაესწრო 6 კაცი, შემდეგ 8, მერმედ 10 და ბოლოს კი თანდათან იკლო. მიზეზი რომ ვკითხეთ ასე მოგვიგეს: ამხანაგები დაგვცინიან—კაცო რა დროს თქვენი სწავლაა დაბერდითო. ურჩევთ მსურველებს წერა-კითხვის შესწავლას შეუდგნენ და ყურადღებას ნულარ მიაქცევენ ხხვებს.

ჯურუყველი.

გაზეთის სასარგებლოთ.

ქ. აზრუმი. გამოგზავნით 49 მ. 5 კ. შეგროვილს ჩვენს შორის და გთხოვთ გაანაწილოთ შემდეგნაირათ: 19 მ. 5 კ. გაზეთ „ერთობის“ ფონდისთვის, 15 მან. პოლიტიკური გადასახლებულების ოჯახებს, 15 მ. ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების დარჩენილ ობლებს.

ამხ. მინდობილობით ჯარისკაცები: ქ. წერეთელი და გ. ბერულავა.

ჩემი ძვირფასი ძმის ქრისტეფორეს ხსოვნის აღსანიშნავათ უწერ გაზეთ „ერთობას“ ასკანს სოფელ უკანავას. იმავე ხსოვნის აღსანიშნავად გაზეთ „ერთობას“ უგზავნი 1 მ. 80 კ. გაზეთის გამოსაწერათ 4 მ. 20 კ.

ჯ. ქ. გიორგი შეწირული.

ჩვენ მე-29 სამხედრო გზის ატრიადში 1-ლ როტაში მყოფმა ქართველმა ჯარისკაცებმა შევაგროვეთ 23 მ. და გიგზავნით გაზ. „ერთობის“ სასარგებლოთ.

ამხ. მინდობილობით რუმინიის ფრონტიდან ჯ. კ.-ბი: ი. ლეკვეიშვილი და კ. ახალაძე.

ოზურგეთიდან მივიღეთ ქ-ნ მატა შარაშენიძისაგან 15 მ. ჯარისკაცებისათვის გაზეთის გასაწერათ ახლად გარდაცვალებულ ალექსანდრე დოლიძის ხსოვნის აღსანიშნავათ.

ს. ბუკნარი (გურია). გიგზავნით ჩვენ შორის შეგროვილ წვლილს ჩვენი „ერთობის“ გაზეთის სასრგებლოთ 22 მ. 40 კაპ.

ამხ. მინდ. ვანო მუხაშავრია.

დ. გუდაუთი. ვგზავნით ჩვენ შორის შეგროვილ 22 აპრილის აღსანიშნავათ 155 მანეთს და გთხოვთ გაანაწილოთ თანასწორათ გაზეთ „ერთობას“ „პაიკარს“ „კავკაზ. რაბოჩ.“ და „ბორბას“.

მინდობ. ს. გოგიჩაიშვილი.

ჩვენ მესამე ბატარიაში 51 არტილერიის ბრიგადის ქართველი ჯ.-კაცნი გიგზავნით ჩვენს შორის შეგროვილ 30 მან. და 35 კაპ. 15 მ. გაზეთ „ერთობის“ ფონდს. დანარჩენი ფულით გთხოვთ გამოგვიგზავნოთ საამდროვო ბროშურები.

ამხ. მინდ. ემელიანე ვასილის ძე ტყეშელაშვილი.

მე-89 საველე კალონის მუშებმა, დავიბარეთ ს. დ. გაზეთ „ერთობას“ 20 მ. „ბორბას“ 21 მ. და 60 კაპ. „კავკ. რაბოჩი“ 10 მ. 5 კ. „ზნამია ტრუდა“ 10 მან. პოლიტიკურ განთავის. 30 მან. მუშათა და სალდათთა საბჭოს 40 მან. სოფ. წეფენის ბიბლიოთეკას 25 მან. და გაზეთების გამოსაწერათ 21 მ. ტ 50 კ. სულ 178 მან. და 15 კაპ.

ამხ. მინდობილ. დ. ბოლათაშვილი.

გიგზავნით თბილისის სადგურის შუშის დამტვრეველ-გადამომტვირთველ მუშათა შორის შეგროვილ 75 მან. გთხოვთ ამ ფულიდან 20 მან. მიიღოთ გაზეთ „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ და 55 მან. წითელი ლიტერატურის სასარგებლოთ.

ამხ. მინდ. ს. დევდარიანი ტ ვ. ჩიხრაძე.

წერილები რედაქციის მიმართ.

სურამის ამბების გამო აქა-იქ შეუსაბამო ჭორებს ავრცელებენ—ვითომ სურამში ადგილი ჰქონოდეს პარტიულ გაუტანლობის ნიადაგზე აღმოცენებულ შეტაკებას. ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცდენათ მოვიყვან მოკლეთ ზოგიერთ ფაქტებს. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ, რაც სურამში მოხდა, შეიძლება სხვაგანაც მოხდეს და საერთოდ სურამის ამბები ერთობ დამაფიქრებელი და ჭკუის მასწავლებელია.

უნაკლულო ქვეყანათ არა არისრა და სურამის კომიტეტის მოქმედებაც, რასაკვირველია, ვერ იქნებოდა უნაკლულო.

თავიდანვე აზირებულ პირობებში დაიბადა ეს კომიტეტი. ეს მოხდა შვიდ მარტს. ჯერ კიდევ სამ მარტს მოვიდა თვითმპყრობელობის დაქცევის ამბავი, მაგრამ რევოლიუციის ხანგრძლივობა არავის სჯეროდა. ჩვენ რამდენიმე კაცი ამაოთ ვცდილობდით კრება მოგვეწვია—არვინ მოგვეკარა შიშით. და რაც ყველაზე საინტერესოა, პირველი საზოგადო კრება სწორეთ იმ ხულიგანების თაოსნობით იქნა მოწვეული, რომელთაც 14 მაისის დაცემაში მიიღეს მონაწილეობა.

მგონი ლასალმა სთქვა შავრაზმელებზე, საქმის ხალხიაო. აქ ურმა ხულიგანებმა იგრძნეს მართველობის ხელში ჩაგდების საჭიროება და კრებაზე დარაზმული მოვიდნენ. შვიდი მარტის კრება სწორედ იმ შალიბაშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა, რომელმაც 13 მაისს ერთხელ კიდევ ისახელა თავი ხულიგანური გამოსვლით. ბ. შალიბაშვილი შვიდ მარტს სპეკულიანტ ვაჭრების მეთაურათ გამოვიდა. ძველი წყობილების მომხრე პირები რაკი შვიდი მარტის კრებაზე დამარცხდნენ, სხვა ხერხს მიმართეს—კრება უკანონოთ გამოაცხადეს და ფარული კრებების მართვას მიჰყვეს ხელი. კომიტეტმა იცოდა ეს, მაგრამ მეტის-მეტს ლმობიერებას იჩენდა—კმაყოფილდებოდა მარტოოდ გაფრთხილების გამოცხადებით. ხულიგანებსაც ეს უნდოდათ. აქაური ხულიგანები ნასწავლი ან ნახევრათ ნასწავლი ხალხია, ისინი კითხვას ასე სვამდნენ: თუ მოვახერხებთ და კომიტეტის სათავეში მოვექცევით ხომ კარგი, თუ არა და რას გვიზამენ—კიდეც რომ დაგვიჭირონ რამდენიმე დღის შემდეგ ხომ ისევ უნდა გამოგვიშვანო. ასე ესმოდათ და ესმით მათ თავისუფლება.

კომიტეტის დასამცირებელი საავიტაციო მასალაც ბლომათ იპოვებოდა:—ეს იყო უმთავრესად სანოვაგის უქონლობა და ნიხრი.

სკანდალის მოწყობაში საკმაოთ დიდი როლი ითამაშა ყოფილმა მამასახლისმა ლადო ბლიაძემ. 13 მაისს ხაშურის კომიტეტმა გადმოგზავნა ქაღალდი 20 მაისისთვის გლეხთა დეპუტატების საბჭოს ასარჩევათ. ბლიაძე თუმცა დათხოვილი იყო კომიტეტის მიერ, მაგრამ ანგარიში დღესაც არ ჩაუბარებია და ამიტომ ყოველ დღე დადიოდა კანცელარიაში. და ამ ლადო ბლიაძეს დაუვლია ბაზარი, ებრაელების სამლოცველოშიც კი შესულა და კრებისთვის დაუბარებია. და აი, როცა ხალხი შეიკრიბა წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ გამოცხადდენ შალიბაშვილი, ლომიძე, ნოდია, და სხვ. ნოდიამ ბლანკი და ქაღალდიც კი მოიტანა სახლიდან. ამ ნაირათ ეს შავი რაინდები დარაზმულნი მოვიდნენ. შემდეგ რაც მოხდა უკვე აწერილია „ერთობის“ 17 მაისის ნომერში. მხოლოდ ერთი შეცდომაა „ერთობის“ ცნობაში—ვითომ ალ. მდივნის მოსვლას დაემშვიდებინოს შეკრებილნი. როცა ალ. მდივანი მოვიდა, სკანდალი უკვე დამთავრებული იყო. გარდა ამისა „ერთობის“ ცნობაში არ არის სწორი, ვითომ ხაშურიდან მოსულ სალდათებს დაეჭიროთ ხულიგანები. მართალია, სისრულეში ხაშურელმა სალდათებმა მოიყვანეს დადგენილება დაჭერის თაობაზე, მაგრამ თვით დადგენილება გამომდინარეობდა სურამის დროებითი კომიტეტისაგან, რაზედაც დაეთანხმა ხაშურიდან ჩამოსული კომისარი და აღმასრულებელ ბიუროს წევრები და შემდეგ სურამის კომიტეტი. ხსენებულ დღეს, სხვათა შორის ერთ სამწუხარო მოვლენას ჰქონდა ადგილი. ხაშურში ხმა გაავრცელებიათ—ფედერალისტები სოციალდემოკრატებს დაეცნო. სალდათები აღშფოთებულნი იყვნენ. ამაში ბრალი ხულიგანებს უდევთ. თავისი სიმახინჯის დასაფარავათ ისინი თავის-თავს სოციალ-ფედერალისტებს უწოდებენ და ხალხიც შეცდომაში შეჰყავს.

მეორე სამწუხარო მოვლენასაც ჰქონდა ადგილი. სურამის ამბების დამსწრეთაგან ოციოდე გლეხი წასულიყო ს. იტრიაში, სადაც ამ დროს გლეხების კრება იყო და ეცნობებია—ჩვენს კომიტეტს სომხები დაეცნენო. გლეხები აღელვებულიყვნენ და დიდი მეცადინეობა დასჭირდა, რომ საქმის ნამდვილი ვითარება გაეგოთ. შეცდომაში შესვლა ადვილი იყო, რადგან შფოთის ამტეხთა დიდი ნაწილი სომეხ ვაჭრებიდან იყო.

საინტერესოა დატუსაღებულთა სოციალ-პოლიტიკური ვინაობა. დაჭერილია 1) მიხეილ არუწევი, ადგილობრივი ვაჭარი, სპეკულიანტი და მედანოსე, სპეკულიაციისთვის ადმინისტრატიულად მჯდარა ციხეში, სამართალშიც ყოფილა მიცემული.

2) ვაჭარი ჩიტო (გიორგი) აკოფოვი.

3) ყოფილი გამომძიებელი და ფედერალისტთა პარტიის ყოფილი წევრი იურისტი გრიგოლ მიხეილის ძე შალიბაშვილი.

4) ყოფილი კერძო ვექილი განჯიდან გამორიცხული აჭურ სასტუმროს პატრონის შვილი კოწია ნოდია.

5) ყოფილი თარჯიმანი გამომძიებლის აწ მექრთამეობისთვის გამოგდებული და სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მიცემული ტატო ლომიძე.

ხულიგანთა შემადგენლობა და მათი დამოკიდებულება ერთობ საინტერესოა: ნიხრით გამორიცხული სომეხი ვაჭრები, ქართველი ინტელიგენტები სისხლის სამართლის დამნაშავეთა ტიპის და ნერვებ-აშლილი ფსიქოპატი მანდილოსნები. აი ამ უპასუხისმგებლო ბრბოს უნდოდა ერთი დაკვრით ჩამოეგდო აღმასრულებელი კომიტეტი და თითონ გამხდარიყო კომიტეტი.

მკითხველი ადვილად დარწმუნდება—რათ აღუდგა წინ კომიტეტი ასეთს მათს განზრახვას და რატომ სასიკვდილოთ გაიმეტეს თავი კომიტეტის იმ წევრებმა, რომელნიც სკანდალის დროს კანცელიარიაში იყვნენ. არა ფულების ხელში დაჭერა, არამედ ნაძირალების ალაგმვა—აი რა აინტერესებდა კომიტეტს. კომიტეტს თანაგრძნობა გამოუცხადა და მეტი გამბედაობის გამოჩენა მისთხოვა ხაშურის მუშათა დეპუტატების საბჭომ.

ერთი წევრთაგანი.

30 აპრილს ხაშურში გაიმართა ქალთა საზოგადოების „მანდილოსნის“ კრება. „ერთობის“ მაისის ერთ-ერთ №-ში ამ კრების შესახებ წერილი იყო მოთავსებული, რომელიც სიმართლეს მოკლებულ ცნობებს აწვდიდა მკითხველს საზოგადოებას. როგორც თავმჯდომარე აღნიშნული კრებისა, მოვალედ ვრაცხ თავს, აღვნიშნო ეს გარემოება და სიმართლის აღსადგენად შემდეგი შევნიშნო კორესპონდენციის ავტორს: როგორც ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“ უპარტიოა, ისე მისი წევრების კრება 30 აპრილს უპარტიო უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც. ეს აღნიშნული იყო საზოგადოების კრების დასაწყისშივე. მიუხედავად ამისა კორესპონდენტი „მანდილოსნის“ კრებას პარტიულს უწოდებს და ამას ასაბუთებს მით, რომ კრების თავმჯდომარე და მდივანი ვითომ სოც. ფედ. ყოფილიყვნენ, რაც მართალი არ არის.—მდივნად იყო ნ. თავაძე, რომელიც წევრია სოც. დემოკ. პარტიისა, ხოლო მე—თავმჯდომარე არ ვეკუთვნი სოც. ფედ. პარტიას. მართალი არის, კრებაზე არ დაუშვეს „ერთობის“ კორესპონდენტი, მაგრამ ეს არ უნდა სწყენოდა, ვინაიდგან თანახმად კრების სურვილისა და გადაწყვეტილებისა მამაკაცები არ უნდა ყოფილიყვნენ იმ პირველ კრებაზე. საყვედური, თითქო იგი არ დაუშვეს კრებაზე, როგორც „ერთობის“ წარმომადგენელი უსაფუძლოა. არა ერთხელ და ორხელ განუმარტეს მას, რომ ქალები, რომელიც კრებაზე იყვნენ, გასწევდნენ კორესპოდენტობას. მიუხედავად ყოველივე ამისა კორესპოდენტი განზრახ ფარავს ამ გარემოებას და ცილის დაწამებას არ ერიდება. გარდა ამისა, უბრალო ინციდენტი კრების ორ წევრთა შორის კორესპოდენციაში აღნიშნულია ისე ნაირად, თითქო იგი პარტიული ნიადაგზე მომხდარიყოს. ესეც არ არის მართალი. არც ისაა მართალი თითქოს არჩევნები მომხდარიყოს ერთი ჯგუფის გემოვნებაზე და მით უმრავლესობა უკმაყოფილო იყოს. არჩევნები მოხდა თვით კრების გემოვნებაზე. მხოლოდ ერთმა გამგეობის წევრმა განაცხადა არჩევნების რამოდენიმე დღის შემდეგ გამგეობის კრებაზე, რომ ის უკმაყოფილოა არჩევნებით და მოითხოვს ხელახალ არჩევნებს. გამგეობამ უჩვენა გზა, როგორ უნდა ემოქმედა, რომ ხელახალი არჩევნები მომხდარიყო, მაგრამ ამის შემდეგ არა ისმის რა. თავმჯდომარე ს. ბ.

ღია წერილი ტეხნიკ იაკობ პეტრეს ძე ავალიშვილს.

როგორც მოგეხსენებათ მე და თქვენ გვქონდა აღებული ერზინჯანში ჯარებისათვის პურის გამოცხობის საქმე და რადგან ეს ფირმა თქვენს სახელზე იყო და შრომა-კი ჩვენი მუშებისა იყო, ამიტომ ისარგებლეთ რა ჩვენის უსწავლელობით და თქვენის უფლებებით, მიითვისეთ ჩვენი ნაოფლარი ხუთი ათას მანეთზე მეტი ფული და მიუხედავათ ჩვენი თხოვნისა, რომ ანგარიში გაგვისწორებინათ ჩვენთვის, თქვენ მიიმალეთ და დღევანდლამდე არ ფიქრობთ ანგარიშის გასწორებას. რამდენიმე ათეული მუშა უხერხულ და გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდა. თქვენს ასეთს მოქმედებას მუშების წინააღმდეგ სახალხოთ ვაცხადებ და გაძლევთ წინადადებას დაუყონებლივ გაგვისწორეთ ანგარიში, თუ ამ ჩვენს წინადადებაზე უარს იტყვით, იძულებული ვიქნებით სხვა საშუალებას მივმართოთ და თქვენი ბნელი საქმეებიც გამოვამზეუროთ.

მუშების მინდობილობით და ჩემს მაგიერ

ანტონ ტერზოპულო.

ღია წერილი ყვირილის მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრებს.

7 აპრილს 1917 წ. ყვირილაში ჩვენ შორის მომხდარ ინციდენტის გამოსარკვევათ გიწ

ვეცდით სამედიატორო სასამართლო. [illegible] რეებს დავასახელ[illegible] დათ[illegible] ბით სამართალ[illegible] მებდგილან ერთ კვირას. სასამართლო შეუდგა ყვირილაში. [illegible] სამართალის [illegible] თანხმდებით იძულებული ვიქნებით მი[illegible] თფილისლურ სასამართლოს.

პორფილე მელაძე

ულრმეს მადლობას უცხადებთ ოჭრო[illegible] ითიანის ძე იმნაიშვილს, რომელმაც თა[illegible] გადაცვალებულის ძმის იოსების ხსოვნის [illegible] სან შეწირა შემოქმედის უფასო წიგნ[illegible] სალესამკითხველოს 30 მანეთი.

მადლობას ვუცხადებთ აგრეთვე ნიკოლოზ ილარიონის ძე ფანცხავაიშვილს, რომელმაც [illegible] ნება და ამავე სამკითხველოს გამოუწერა წლის ბოლომდის ორი გაზეთი: „კავკ. რაბ.“ და „კავკ. სლოვო“.

შუხუთის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობა.

სამედიატორო სასამართლოს დადგენილება. სამედიატორო სასამართლომ, რომელიც შესდგა ს. ბ—შვილს და გ. ი—ლიანს შორის მომხდარ უთანხმოების გამოსარკვევათ, გამოიძია რა საქმის ვითარებანი, გამოიტანა შემდეგი დადგენილება: სასამართლო სცნობს მომხდარ უთანხმოებაში ორივე მხარეს დამნაშავეთ. რაც შეეხება მათ წინადადებას, რომ მტყუანმა მხარემ გადაიხადოს 25 მან. 10 მ. გაზეთ „ერთობის“ სასარგებლოთ და 10 მან. პოლიტიკურთა სასარგებლოთ, სასამართლო შეუძლებლათ სცნობს ამ პირთაგან ფულის მიღებას რაიმე იდეური დაწესებულების სასარგებლოთ.

მოსამართლენი: ნ. ჟიბლაძე, თ. გურგენიძე. თავმჯდომარე ს. თოდრია.

რედ.-გამ. [illegible]

ექიმი გ. გ. [illegible]

იღებს სიფილისიან-ვენერულ ავადმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე ყოველ დღის გარდა, მისამართი: [illegible] ქუჩა № 67; [illegible] ტელეფონი № 5—77.

ექიმი გ. გ. ვეფხვაძე

[illegible] უნივერსიტეტის ვენერიული კლინიკის [illegible] იღებს ავადმყოფებს [illegible] ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, [illegible] ქუჩა, № 19.

გ. გ. [illegible]

[illegible]

სტუდენტი

(ყოფილი მასწავლებელი)

ამზადებს ყველა უწყების პირველ-დაწყებითი, დაბალი და საშუალო სკოლებისთვის, აგრეთვე [illegible] ქუჩა, № 5.

ექიმი ივანე თიკანაძე

[illegible] ავადმყოფებს მიიღებს საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი პ. ი. [illegible]

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი

ავადმყოფებს მიიღებს [illegible] 6—7 ს. [illegible] № 4, [illegible] ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისი.

ექიმი გ. ი. [illegible]

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 8 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, [illegible] ქ., [illegible] სახლი.

ქუთაისი

ექიმი გ. ი. [illegible]

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და 6—8 ს. საათამდე

ქ. თფილისში, [illegible] № 13, [illegible]-ამხანაგობის [illegible]

„განათლება“-ში

„[illegible]“ [illegible] ქართული წიგნები, რომლებიც [illegible] გამოგზავნისთანავე.

[illegible] „ერთობა“, „ბორბა“, „კავკ. რაბოჩი“, „[illegible]“, [illegible] „პაიქარი“, [illegible] მოსული წიგნები.

ფული და წერილები უნდა გამოგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი: ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛаДЗЕ. Телеф. № 3—44.